პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

№ 275 (5376) | პარასკევი, 2 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება—შეძენის საქმეა! ცოდნა, რა თქმა უნდა, თავისთავად კი არ მოვა, არამედ შეუპოვარი, ორგანიზებული შრომის შედეგად გაჩნდება. საჭიროა ვისწავლოთ ისე, როგორც სწავლობდა ბოლშევიკთა უფროსი თაობა, როგორც სწავლობდნენ ლენინი და სტალინი. ფანქრით ხელში უნდა ვსწავლობდეთ პირველ წყაროებს, ვიწერდეთ წაკითხულს, კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდეთ საკითხებს, ვმდიდრდებოდეთ ცოდნით, ვაფართოვებდეთ ჩვენს წარმოდგენას საგანზე, ვსწავლობდეთ სინამდვილეს, ვხედავდეთ ახალ ფაქტებს, განვაზოგადებდეთ და ანალიზს ვუკეთებდეთ მოვლენებს.

„პრავდა“.

# სასწავლო წლის პირველი მეოთხედი

დიდი და პასუხსაგები საქმე აკისრია საბჭოთა სკოლასა და მასწავლებელს. ეს არის სოციალისტური სამშობლოს მომავლის — ჩვენი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა, მისი გამსჭვალვა საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, სოციალიზმის საქმისადმი, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის მაღალი გრძნობით.

სოციალისტური ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს კულტურული, ყოველმხრივ განვითარებული, უშიშარი მებრძოლი, მტკიცე საბჭოთა პატრიოტი, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებს თავისი სამშობლოს კეთილდღეობას, მის ინტერესებს, და თუ საჭირო იქნება, თავსაც გასწირავს სამშობლოს პატივისა და ღირსების დასაცავად.

ასეთ მოქალაქეთა აღზრდის საპატიო ამოცანა დააკისრა ჩვენმა ქვეყანამ საბჭოთა სკოლასა და მასწავლებელს და საამისოდ ყოველგვარი პირობა შეუქმნა. პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მასწავლებელი ჩვენში ისეთ მდგომარეობაშია, რაზედაც კაპიტალისტური ქვეყნების მასწავლებლობას მხოლოდ ოცნება შეუძლია. ამიტომ ჩვენი სკოლა და მასწავლებელი ისე უნდა მუშაობდნენ, როგორც ამას მოითხოვს დიდი სტალინური ეპოქა, ბედნიერი საბჭოთა ხალხი.

მაგრამ ბოლშევიკური თვითკრიტიკის წესით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სკოლა და მასწავლებელი ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ უნაკლოდ, მათ კვლავ არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებთ.

სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს სკოლებში ძალიან დიდია ისეთ მოსწავლეთა პროცენტი, რომელთაც სუსტი მომზადება გამოიჩინეს ერთ, ორ, სამ და მეტ საგანში. ის ფაქტი, რომ ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის სკოლების 13 ათასზე მეტმა მოწაფემ, ჭიათურის, ბაღდათის, წითელწყაროს, ლუქსემბურგის და სხვა რაიონების მოწაფეთა 37-42 პროცენტმა მიიღო სუსტი შეფასება ერთ, ორ და მეტ საგანში, იმას მოწმობს, რომ ჩვენი სკოლები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ, რომ სკოლებს და მასწავლებლებს სახალხო განათლების ორგანოები ცუდად ხელმძღვანელობდნენ, არადამაკმაყოფილებლად ეხმარებოდნენ.

სკოლის ასეთი ჩამორჩენილობის მიზეზი კიდევ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ სწავლის დაწყებისთანავე არ იყო მოწყობილი სავსებით ნორმალური მეცადინეობა, არ იყო დამყარებული სათანადო წესრიგი, ცალკეული პედაგოგები ცუდად მუშაობდნენ, განსახკომისა და განათლების განყოფილებების მხრით სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობას არ ეწეოდა სათანადო კონტროლი.

ამასთან განსახკომმა სკოლებს ვერ მისცა გარკვეული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს მოწაფის ცოდნისა და მომზადების შეფასება, ამის გამო არ არის აღმოფხვრილი მოწაფეთა ცოდნის, როგორც ლიბერალური, ისე ზედმეტად მკაცრი შეფასების შემთხვევები.

ახლა, როცა მოწინავე საბჭოთა მასწავლებელი დიდ მოთხოვნას უყენებს თავის თავს, ის, რაც წინათ ნორმად ითვლებოდა და ტრადიციით იყო განმტკიცებული, უკვე წარსულის ნაშთად ითვლება. საქართველოში არცთუ ისე ცოტანი არიან ისეთი მასწავლებლები, რომელთაც თავიანთ საგნებსა და კლასებში მოწაფეთა 100-პროცენტიან წარმატებას მიაღწიეს.

სახალხო განათლების ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ისე მუშაობა, რომ მოწინავე, პედაგოგიურად დახელოვნებულ მასწავლებელთა გამოცდილება გააცნონ პედაგოგთა მასებს, მასწავლებელთა საზოგადოებრივი აზრი დარაზმონ სწავლების გაუმჯობესების მეთოდების დასანერგავად.

გაკვეთილი არის სასწავლო მუშაობის ის ძირითადი ფორმა, რომლის გამდიდრებისა, საინტერესოდ, მიმზიდველად გადაქცევისა და ფაქიზად მომზადებისათვის უნდა მუშაობდეს ყველა მოწინავე მასწავლებელი, ამ საქმეში მას უნდა ეხმარებოდნენ როგორც სახალხო განათლების ორგანოები, ისე პედაგოგიური პრესა. მაგრამ სასწავლო წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში ამ უბანს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

სასკოლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის დაყენებული მასწავლებლობისათვის მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება. მაგრამ არც ამ მხრივ არის ყველაფერი რიგზე.

საქართველოს განსახკომი, მისი მეთოდკაბინეტი, რაიონების მეთოდკაბინეტები და პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქმიან დახმარებას ვერ უწევენ სკოლასა და მასწავლებელს. ჯერ კიდევ დაუმუშავებელია ისეთი აქტუალური პედაგოგიურ-მეთოდური საკითხები, როგორიც არის დედაენისა და ლიტერატურის, ქართული ანბანის, ხალხური სიტყვიერების, პოეტიკის სწავლებისა და სხვა საკითხები.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ცალკეული საგნების (სამოქალაქო ისტორიის, რუსული ენის, დედა-ენის და სხვ.) სწავლება. აქა-იქ არის ისეთი შემთხვევები, როცა თვით მასწავლებლები იჩენენ სისუსტესა და უცოდინარობას იმ საგანში, რომელსაც თვითონ ასწავლიან.

მასწავლებელთა ატესტაციამ მთელ რიგ მოწინავე და პედაგოგიურად დახელოვნებულ მასწავლებლებთან ერთად გამოავლინა ისეთებიც, რომელნიც ძალიან ცოტას ან, უარეს შემთხვევაში, სულ არაფერს აკეთებენ საკუთარი პოლიტიკური და პედაგოგიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის. ეს კი უარყოფითს დაღს ასვამს სკოლის მუშაობას.

საბჭოთა მასწავლებლობამ კარგად უნდა შეიგნოს, რომ როგორც ამას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გვასწავლის, „მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება შესაძენი საქმეა“ და, რომ საჭიროა ჩვენი კადრები „წარმატებით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სწავლობდნენ პარტიის ისტორიას, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაშრომებს. იმისათვის, რომ დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, უნდა გამოვიჩინოთ მხოლოდ სურვილი, დაჟინება და ხასიათის სიმტკიცე ამ მიზნის მიღწევაში“.

ეს უნდა იყოს სახალხო განათლების ორგანოების, ჩვენი მასწავლებლობის საბრძოლო ამოცანა.

# საბჭოთა კავშირის გმირი პოლინა ოსიპენკო სოხუმში

**სოხუმი**, 1 დეკემბერი (ტელეგრაფით საკ. კორ.). დღეს მოხდა ქალაქ სოხუმის მშრომელების შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავ ქალთან პოლინა ოსიპენკოსთან, რომელიც გუშინ ჩამოვიდა სოჭიდან სოხუმში აფხაზეთის დასათვალიერებლად.

შეხვედრა მოეწყო სახელმწიფო თეატრის დარბაზში. თავიანთი დიდი გადაფრენის შესახებ მარშრუტით მოსკოვი-შორეული აღმოსავლეთი საინტერესო მოგონებით გამოვიდა პოლინა ოსიპენკო. მან სოხუმის მშრომელებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ გმირულად ებრძოდნენ ის, გრიზოდუბოვა და რასკოვა ბუნების მკაცრ პირობებს ტაიგაში როგორც ჰაერში ფრენის, ისე ძირს დაშვების შემდეგ, როგორ ცხოვრობდნენ ის და გრიზოდუბოვა ჭაობებს შორის, როგორ შეხვდნენ ისინი კარგახნით მოშორებულ რასკოვას. ოსიპენკოს სიტყვა იმდენად საინტერესო, აღმაფრთოვანებელი და ამაღელვებელი მომენტებით იყო სავსე, რომ მას ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ოვაციებით. ოსიპენკომ სთქვა: ჩვენ ჩავფრინდით უკაცურ ადგილას, მაგრამ ერთი წუთითაც არ გვიფიქრია, რომ დავიღუპებოდით. ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ მოგვნახავდნენ და გვიხსნიდნენ, რადგან ჩვენზე ზრუნავდა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ოსიპენკოს შემდეგ გამოვიდა ლენინის ორდენით დაჯილდოვებული მფრინავი-ქალი ვერა ლომაკო, რომელიც სოხუმში ისვენებს და რომელმაც ოსიპენკოსთან და რასკოვასთან ერთად მოახდინა ქალთა პირველი გადაფრენა შორ მანძილზე ძირდაუშვებლად სევასტოპოლიდან არხანგელსკამდე. მან ილაპარაკა თავიანთი გადაფრენის შესახებ.

ოსიპენკომ დღეს დაათვალიერა ქალაქ სოხუმის ღირსშესანიშნავი ადგილები, აგრეთვე გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ის შეხვდა მეურნეობის მუშებს და გაეცნო მათ მუშაობას ციტრუსების დარგში.

# ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ს. ა. **სტეპანოვი** დაამტკიცა სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საკდესი).

O

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ბოგდანოვკის რაიონში შექმნილია ჯიგრაშენის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: პატარა ხორენია, ჯიგრაშენი და ყაურმა ცენტრით სოფ. ჯიგრაშენში.

O

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ცაგერის რაიონში შექმნილია მახურის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: მახურა და ისუნდერი ცენტრით სოფ. მახურაში.

# გავშალოთ შეჯიბრება საქართველოს და დონბასის მაღაროელთა შორის

## ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ყველა სტახანოველს, მუშებს, მუშა-ქალებს, ინჟინერ ტექნიკოს მუშაკებს, მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენსა და თქვენს მუშაობას, უხარია თვითეული ჩვენი გამარჯვება ქვანახშირის ფრონტზე. ეს გასაგებიც არის: ჩვენ, მაღაროელები, ვმუშაობთ სოციალისტური მეურნეობის ისეთ უბანზე, რომლის მუშაობაზეც ბევრად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტის, მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებები. ჩვენ ვეწევით შავი ოქროს მოპოვებას, რომელიც ენერგიით ჰკვებავს ქარხნებს, ფაბრიკებს, ელექტროსადგურებს, ორთქლმავლებს.

ჩვენზე, ქვანახშირის მუშაკებზე, ყოველდღიურად ზრუნავენ პარტია და მთავრობა, პირადად ამხანაგი **სტალინი**. ეს მით უფრო მეტად გვავალებს ვიმუშაოთ დაუღალავად, ღირსეულად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული ამოცანები.

დონეცის ქვანახშირის ბასეინმა— საყოველთაო-სახალხო სტახანოვური მოძრაობის სამშობლომ — დააგროვა ქვანახშირისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი სტახანოვური გამოცდილება, ზუსტი გრაფიკის მიხედვით ციკლური მუშაობის ორგანიზაციის გამოცდილება.

იმ დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადებოდა ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის წლისთავისათვის, დონეცის ქვანახშირის ბასეინმა დედა-სამშობლოს მოუმზადა მთელი რიგი შესანიშნავი საწარმოო საჩუქრები. ამ დღეებში დონბასის შახტებში გაიზარდა შრომის მაღალი ნაყოფიერების გმირთა ახალი პლეადა, ამ დღებში კიდევ უფრო მაღლა იქნა აწეული სოციალისტური შეჯიბრების დროშა, გაშლილ იქნა მოძრაობა ჩამორჩენილთათვის მოწინავეთა მიერ სოციალისტური დახმარების გასაწევად. სოციალისტური დონბასის ქვანახშირის მუშაკები აღსავსენი არიან მხურვალე წადილით მთლიანად აღმოფხვრან ბასეინის ცალკეული ტრესტებისა და შახტების ჩამორჩენა.

ახლოვდება საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — დღე სტალინური კონსტიტუციისა, რომლის ცხოველი სხივების ქვეშაც გაიფურჩქნა და მტკიცდება კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო სტალინური მეგობრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებისა.

მთელი ჩვენი ქვეყანა ამ დღეებში მოწმე იყო აყვავებული უკრაინისა და მზიური საქართველოს ხალხთა ძმური მეგობრობის წარმტაცი დემონსტრაციისა. ქართველმა ხალხმა ღვიძლი ძმებივით მიიღო და მიესალმა საბჭოთა უკრაინის მშრომელთა წარმომადგენლებს, სიამაყის გრძნობით უჩვენებდა მათ თავის წარმატებებსა და გამარჯვებებს.

მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის—სტალინური კონსტიტუციის — მიღების მეორე წლისთავისათვის მზადებამ გამოიწვია საწარმოო აღმავლობის ახალი ტალღა სოციალიზმის ქვეყნის მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, ააზვირთა სოციალისტური შეჯიბრების — სულ ახალი და ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლის ამ ნაცადი ბოლშევიკური მეთოდის — ახალი ტალღა.

ჩვენი ტრესტი, ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტი, მთელი 1938 წლის განმავლობაში სისტემატურად ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას. 27 ნოემბერს ჩვენ ვადაზე ადრე შევასრულეთ ქვანახშირის ამოღების თერთმეტი თვის გეგმა, მივეცით ქვეყანას სამი მილიონი ექვსასი ათასი ტონა ქვანახშირი.

ჩვენ დღე-ღამის განმავლობაში ვიძლევით ათი ათას ტონაზე მეტ ქვანახშირს. სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და ქვანახშირის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა ფრიალებს „კრასნი ოქტიაბრის“ № 1-2 რაიონის შახტაზე. „კრასნი ოქტიაბრის“ № 4 შახტის კოლექტივმა ჯერ კიდევ 4 ნოემბერს ვადაზე ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა.

ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის, ციკლურობისათვის ბრძოლაში ჩვენთან გაიზარდნენ ასობით მოწინავე სტახანოველები და დამკვრელები. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი საუკეთესო სტახანოველით — წარმოების მეთაურით, „კრასნი ოქტიაბრის“ № 1-2 შახტის უბნის უფროსით ამხანაგ ერმიშინით, რომელიც დაჯილდოვებულია „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნით. ამხ. ერმიშინმა მიაღწია ორ ციკლზე მეტს დღე-ღამეში. ოქტომბერში მან მოგვცა ოთხმოცი ციკლი, ნოემბერში კიდევ უკეთ მუშაობს.

მასთან თანაბრად მუშაობენ მოწინავე მეთაურები, შახტის სტახანოველები — ამხანაგები ივანენკო, კუპრიანოვი, მარკაზია, კოსტომაროვი, ბოლოტინი, პრომოტოროვი, კორპუსოვი და ასობით სხვები, რომლებიც შრომის მაღალი ნაყოფიერების ოსტატები არიან.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ჩვენი ტრესტის ორი შახტი — „კრასნი პროფინტერნი“ და კარლ მარქსის სახელობისა ჯერ კიდევ არ ასრულებენ ქვანახშირის ამოღების გეგმას. ამასწინათ ამ შახტებში სოციალისტური დახმარების გაწევის წესით ჩამოვიდნენ „კრასნი ოქტიაბრის“ № 1-2 და № 4 მოწინავე შახტების წარმოების მეთაურთა და სტახანოველთა ბრიგადები. ბრიგადებმა გაუზიარეს გამოცდილება და ბევრ რამეში დაეხმარნენ ჩამორჩენილ შახტებს მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივაც. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ არ გადავამეტოთ თვითღირებულებისა და ქვანახშირის ნაცრიანობის გეგმას.

ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის ჩვენ, ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტის (უკრაინის სსრ სტალინის ოლქი) შახტების სტახანოველები, სტახანოველი ქალები, მუშები, მუშაქალები, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები, მოსამსახურეები, გაზეთების „სოვეტსკაია უკრაინას“ და „ზარია ვოსტოკას“ საშუალებით გიწვევთ თქვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა შევასრულოთ საყვარელი სახკომის ლაზარე მოისეს-ძე კაგანოვიჩის ბრძანებანი შახტების მუშაობაში ციკლურობის გრაფიკის დანერგვის შესახებ, ქვანახშირის ამოღების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, მოსამზადებელ სამუშაოთა გაშლის, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების, მექანიზმების გამოყენების შესახებ, ახალი კადრების აღზრდის შესახებ, რომლებიც მთლიანად დაეუფლებიან სამთო საქმის ტექნიკას.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას გავხადოთ ჩვენი ტრესტი მოწინავედ დონბასში და თქვენც მოგიწოდებთ გამოიყვანოთ თქვენი ტრესტები ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მოწინავე ტრესტების რიცხვში.

მოგიწოდებთ თქვენ მოაწყოთ მუშაობის გამოცდილების რეგულარული გაზიარება, ერთიმეორეს გადავცეთ ყოველივე ახალი, რასაც ქვანახშირის ამოღების ტექნიკაში შეიტანენ მოწინავე ადამიანები — სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები, გამომგონებლები.

ჩვენ გთხოვთ გაზეთების „სოვეტსკაია უკრაინას“ და „ზარია ვოსტოკას“ საშუალებით მოგვწეროთ თქვენი მოწინავე სტახანოველების გამოცდილების შესახებ და ჩამოხვიდეთ ჩვენთან ჩვენი მუშაობის მეთოდების გასაცნობად, ჩვენი წარმატებების, საწარმოო პროცესის ორგანიზაციის, პარტიულ-მასობრივი მუშაობის დაყენების გასაცნობად. ეს დაგვეხმარება ჩვენც გადავიღოთ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მიერ დაგროვილი მოწინავე გამოცდილება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ქვანახშირის კომბინატების მუშაობის შესახებ და სტალინური სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანებები— ეს საბჭოთა კავშირის ქვანახშირის ყველა მუშაკთა მოქმედების გაშლილი პროგრამაა. თქვენთან შეჯიბრებით, სტახანოვური მოძრაობის განვითარებით, მუშაობაში ლავების ციკლურობის გრაფიკების დანერგვით ვიბრძოლებთ იმისათვის, რათა ჩვენი შახტების ურნალებზე ჩაუქრობლად ბრწყინავდნენ გამარჯვების ცეცხლები.

დაე ჩვენმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, დაე იგი იყოს უშრეტი წყარო ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისა, საბჭოთა კავშირის ქვანახშირის ყველა მუშაკთა მუშაობის გაუმჯობესებისა.

სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით, ყველა ხალხების მეგობრის დიდი **სტალინისადმი** უდიდესი სიყვარულით შემჭიდროვებულნი — უკრაინისა და საქართველოს ქვანახშირის მუშაკები გავწევენ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ!

**ი. მ. ტიუტიუნიკოვი—ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტის მმართველი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ფ. ნ. ბიჩკოვი—უკრაინის კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის საქალაქო კომიტეტის მდივანი; პ. ი. ბოლდინი — ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტის მთავარი ინჟინერი; პ. ა. კუზნეცოვი—ქვანახშირის მუშაკთა რაიკომის თავმჯდომარე; შახტების მეთაურები — ბ. ს. პლისოვი, ვ. ვ. გრიაზევი, პ. ვ. სავენკო, ფ. მ. პოლოვინი, ნ. ნ. ერმიშინი, ი. პ. ივანენკო, ვერსკოვ-დერიაბინი, ლ. ა. მარკაზია, პ. ა. სამოილოვი, ფ. პ. კუპრიანოვი, ე. პ. რიბალკო, ვ. ნ. სვეტაილო, ს. ნ. ზაბურდაევი; შახტების სტახანოველები: ტ. ტ. კოსტომაროვი, ო. ტ. გრებკოვი, ვასილკოვსკი, ნიკონენკო, ბოლოტინი, დიაჩკოვსკი, კოსტნიკოვი, კოსტინა, პრომოტოროვი, კატერინინი, გრაშჩენკო, შვედოვი, კორპუსოვი, მიშანოვი, ფედოროვი, მურზოვი, დილეიკო, გოლტიაევი.**

**წერილი მიღებულია ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტის მუშათა საერთო კრებებზე, რომლებსაც დაესწრო ცამეტი ათასი კაცი.**

ქალაქი ორჯონიკიძე (უკრაინის სსრ სტალინის ოლქი) 1938 წლის 27 ნოემბერი.

# საბჭოთა კავშირში

ფილმი „ალექსანდრ ნევსკის“ 800 პირი იბეჭდება ამჟამად ლენინგრადის 1 მაისის სახელობის პირისგადასაღებ ფაბრიკაში. ფილმის დემონსტრირება დეკემბრიდან დაიწყება.

O

400-ზე მეტ საყელავ მანქანას, 100 ელექტრომავალს, 2100 ელექტროსაბურღს, მრავალ ტრანსპორტერს, ჯალამბრებსა და ურნალებს ასამუშავებელი შახტებისათვის იღებს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ქვანახშირის მრეწველობა.

O

რილსკის რაიონში (კურსკის ოლქი) კოლმეურნეთა 300-ზე მეტი ოჯახი ახალ სახლებში გადასახლდა. საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე თვითეულმა კოლმეურნემ 6-დან 8 ათასამდე მანეთი დახარჯა.

O

ომსკის სახელმწიფო, კოოპერატიულმა და სხვა ორგანიზაციებმა წელს ააგეს და ჩაასახლეს 254 სახლი. გარდა ამისა, ქალაქის მუშებმა და მოსამსახურეებმა წელს ინდივიდუალურად ააგეს 1.412 სახლი.

O

„კრასნოგვარდეეცის“ (ტიუმენი) სამსხმელო - მექანიკურმა სახელოსნოებმა აითვისეს საამშენებლო ლურსმნების დასამზადებლად საჭირო დაზგა—ავტომატების წარმოება. 8 საათის მუშაობის განმავლობაში დაზგა-ავტომატი რკინის ნაჭრებიდან იძლევა 200-მდე კილოგრამ მაღალხარისხოვან ლურსმანს.

O

27 ნოემბერს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარფიუმერიის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1938 წლის საწარმოო გეგმა. გამოშვებულია 594 მილიონი მანეთის პროდუქცია.

O

ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივი შესანიშნავი მიღწევით ეგებება სტალინური კონსტიტუციის ორი წლისთავს.

სადგურმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. გამომუშავებულია 2.170 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 7 პროცენტით შემცირდა.

O

გუშინ კრამატორსკის კუიბიშევის სახელობის მეტალურგიული ქარხნის (კრამატორსკი) მარტენის საამქრომ ვადამდე შეასრულა ნოემბრის გეგმა. გამოდნობილია 22.800 ტონა ხარისხოვანი ლითონი. საამქროს კოლექტივმა იკისრა ვალდებულება—თვის ბოლომდე დამატებით მოგვცეს სულ ცოტა 2,5 ათასი ტონა ფოლადი.

# ესპანეთისა და ინგლისის დელეგაციების გამგზავრება

**ლენინგრადი**, 30 ნოემბერი (საკდესი). დღეს ლენინის ქალაქის მშრომელებმა გააცილეს ესპანეთის რესპუბლიკის დელეგატები და ინგლისის მუშათა დელეგაცია, რომლებიც ჩამოვიდნენ სსრ კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავის დღესასწაულზე.

მიტინგზე გამოსულმა ლენინგრადის ქარხნების მუშებმა სთხოვეს ესპანეთის დელეგაციას საბჭოთა ხალხის გულმხურვალე ძმური სალამი გადასცეს ესპანეთის გმირ მებრძოლთ, რომელნიც თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას იცავენ.

# სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მე-4 ტირაჟი

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დააკმაყოფილა ქალაქ რიაზანის მშრომელთა შუამდგომლობა სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟის ჩატარების შესახებ ამ ქალაქში. სესხის უახლოესი ტირაჟი მოხდება რიაზანში 11 და 12 დეკემბერს.

ეს უკვე სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მე-4 ტირაჟია უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში. გათამაშებული იქნება 265 ათასი მოგება 43.703.800 მანეთის რაოდენობით.

სოხუმის რაიონის გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი **გ. მოროზოვი** ამოწმებს გრეიპფრუტის სიმწიფეს.

ფოტო გ. მერკვილაძისა.

# გადადგა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა

**პრაღა**, 1 დეკემბერი (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გადადგა გენერალ სიროვის მთავრობა. რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა დოქტორმა გახამ გადადგომა მიიღო. პრეზიდენტმა პრემიერ სიროვის და მთავრობის სხვა წევრებს დაავალა განაგრძონ თავიანთ მოვალეობათა შესრულება, სანამ არ იქნება შედგენილი ახალი მთავრობა.

პრეზიდენტმა ახალი მთავრობის შედგენა „ნაციონალური ერთიანობის“ პარტიის ლიდერს რუდოლფ ბერანს დააკისრა. ეს უკანასკნელი ახალი კაბინეტის წევრთა სიას შეადგენს სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

# შრომის საყოველთაო კონფედერაცია საყოველთაო გაფიცვის შედეგების შესახებ

**პარიზი**, 1 დეკემბერი (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციამ საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის შედეგების შესახებ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„საგაფიცვო მოძრაობა გუშინ ვითარდებოდა ისე, რომ არ მომხდარა რაიმე თვალსაჩინო ინციდენტები, რომლებიც შეეძლოთ მშრომელებისათვის მიეწერათ.

საგანგებო ღონისძიებებმა, რომლებიც მთავრობამ მიიღო (საწარმოთა გადაყვანა სამხედრო წესზე, სამხედრო ხელისუფალთა ჩარევა, არმიისა და პოლიციის გამოყენება გაფიცვის მონაწილეთა წინააღმდეგ და სხვ.), უეჭველად იქონიეს თავისი გავლენა მოძრაობაზე. შრომის საყოველთაო კონფედერაციას სურდა ჩაეტარებინა ეს მოძრაობა სიმშვიდისა და წესრიგის პირობებში, რისთვისაც მან ოფიციალური განკარგულება მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს—თავიდან აეცდინათ ყოველგვარი ინციდენტი.

გაფიცვის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად, გაფიცვის ლოზუნგი ფართოდ განხორციელდა კერძო მრეწველობაში როგორც პარიზში, ისე პროვინციაში.

საზოგადოებრივი მნიშვნელობის საწარმოებში გაფიცვის ლოზუნგმა ბევრ ქალაქში გამოიწვია ამ საწარმოთა მუშაობის შეჩერება.

გაფიცვა საყოველთაო იყო სამთამადნო მუშებსა, მეზღვაურებსა და დოკერებს შორის. გაფიცვას ადგილი ჰქონდა მეტალურგიული მრეწველობის ძირითად ცენტრებში, საფეიქრო, ტყავეულისა და ქიმიურ მრეწველობაში, სადაც გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო მუშების 75-დან 95 პროცენტამდე.

საზოგადოებრივი მნიშვნელობის საწარმოებში და სახელმწიფო დაწესებულებებში, მიუხედავად რეპრესიებისა, გაფიცვა დისციპლინის პირობებში ჩატარდა.

# საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება საჰაერო პაქტის შესახებ

**ლონდონი**, 30 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი ექსპრესის“ პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, გერმანიასა და საფრანგეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება პაქტის დადების შესახებ საჰაერო შეიარაღებათა შესაზღუდავად. მოლაპარაკება დაიწყო საფრანგეთის ყოფილ ბერლინელ ელჩ ფრანსუა პონსესთან ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ჰიტლერის ინიციატივით. საფრანგეთის ახალი ბერლინელი ელჩი კულონდრი განაგრძობს ამ მოლაპარაკებას. რიბენტროპი პარიზს თავისი მომავალი გამგზავრების დროს საუბარს გამართავს ამ საკითხზე საფრანგეთის მინისტრებთან. კორესპონდენტის ცნობით, გერმანია მოითხოვს, რათა შეზღუდულ იქნას მძიმე ყუმბარმზიდთა რაოდენობა ინგლისსა და საფრანგეთში. საფრანგეთის საავიაციო ექსპერტები სკეპტიკურად უყურებენ ამ მოთხოვნებს. ისინი აცხადებენ, რომ საფრანგეთს ესაჭიროება მძიმე ყუმბარმტყორცნები, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთის ავიაცია ვერ მიაღწევს ბერლინს, მაშინ, როდესაც პარიზი მისაწვდომია გერმანელთა მსუბუქი ყუმბარმტყორცნებისათვის, რომელნიც, იქონიებენ რა ბაზად კელნს ან გერმანიის სხვა მოსაზღვრე ქალაქებს, შესძლებენ მოაწყონ თავდასხმები პარიზზე.

# ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა მანდარინის დამზადების გეგმა

**ჩაქვი**, 1 დეკემბერი (ტელეგრაფით). ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ციტრუსების დამზადების წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა. 29 ნოემბრისათვის დამზადებული იყო 5.111.000 ცალი მანდარინი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.850.000 ცალისა, გეგმა შესრულებულია 105,3 პროცენტით.

მანდარინის კრეფა-დამზადება გრძელდება.

**ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. თოხაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობა ამით აცხადებს, რომ, თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წ. 16 ნოემბრის დადგენილებისა (ოქმი № 4), ა. წ. 1 დეკემბრიდან 1939 წლის 1 იანვრამდე ჩატარდება საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით, სიგელებითა და საპატიო წოდებით და ა.-კ. სფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ პირთა აღრიცხვა.

აღრიცხვა უნდა გაიაროს ყველამ, ვინც დაჯილდოებულია:

1) საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით;

2) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელებით;

3) საქართველოს სსრ შრომის გმირის, სახალხო ან დამსახურებული არტისტის, მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებით;

4) ა.-კ. სფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით, თუ ამ ორდენით დაჯილდოებული პირი საქართველოს სსრ-ის ფარგლებში ცხოვრობს.

აღრიცხვა იწარმოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობის საოქმო ნაწილის ოთახში (თბილისი, მთავრობის სახლი, ოთახი № 14) ყოველდღე 10 საათიდან 16 საათამდე და 20 საათიდან 23 საათამდე.

ქ. თბილისში მცხოვრები პირნი აღრიცხვაზე უნდა გამოცხადდნენ პირადათ, ხოლო სხვა ადგილას მცხოვრებმა უნდა აცნობონ საქმეთა მმართველობას თავისი მისამართი.

აღრიცხვაზე გამოცხადებისას წარმოდგენილ უნდა იქნას ორი ფოტოსურათი ზომით 3×4 სანტ., გადაღებული პირდაპირ, უქუდოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზეთისხილის კრეფა აფხაზეთში

**სოხუმი,** (საკ. კორ.). აფხაზეთში დაიწყო ზეთისხილის კრეფა და დამწნილება. ზეთისხილის პლანტაციები ყველაზე უფრო გავრცელებულია ფსირცხაში. ფსირცხის საბჭოთა მეურნეობა წელს მოკრეფს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნის 20 ათას კილოგრამ ზეთისხილს.

**ბ. მერკვილაძე**

# თათბირი მარცვლეული კულტურების ჯიშთა დარაიონების საკითხებზე

24 ნოემბერს საქ. მიწსახკომში შესდგა მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდების შედეგებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირი. თათბირს ხელმძღვანელობდა საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. **ზარნაძე.**

თათბირს ესწრებოდნენ საქმიწსახკომის სამმართველოების უფროსები და სპეციალისტები, ლ. ბერიას სახელობის საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საქართველოს ფილიალის მეცნიერი მუშაკები და ჯიშთა გამოცდის პუნქტების გამგეები.

1937-38 წლებში მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის შედეგებისა და ამ კულტურათა დარაიონებაში შეტანილ ცვლილებათა შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის მიწსახკომთან არსებული მარცვლეულ კულტურათა ჯიშების გამოცდის სახელმწიფო კომისიის ინსპექტორი საქართველოში ამხ. ბ. ჯანელიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა ჯიშთა სწორად დარაიონების მნიშვნელობა მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ამხ. ჯანელიძემ ილაპარაკა იმ მუშაობის შედეგებზე, რომელიც საქართველოში უკანასკნელ ხანებში მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის დარგში ჩატარდა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. **ალ. ჯაფარიძემ, ე. ხატიაშვილმა, ალ. სბორშჩიკოვმა** (მიწსახკომი), **გ. აბესაძემ** (ბერიას სახელობის საქ. სას.-სამ. ინსტიტუტი), **ვ. მენაბდემ** (სას.-სამ. აკადემიის საქ. ფილიალი) და **ი. მარჯანიშვილმა** (ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისია).

კამათში გამოსული ამხანაგები სავსებით დაეთანხმნენ მომხსენებელს ჯიშთა გამოცდის შედეგების მიხედვით თავთავიან მარცვლეულ კულტურათა დარაიონებაში ცვლილებების შეტანაზე და გამოსთქვამდნენ აზრს, რომ შესწავლილ იქნას ადგილობრივი ხორბლის ჯიშები და ფართოდ გავრცელდეს ისინი.

თათბირმა აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიიღო დადგენილება გორის, საგარეჯოს, თელავისა და წითელ წყაროს რაიონებში ჯიშთა გამოცდის პუნქტებზე შეწყვეტილ იქნას გაზაფხულის ხორბლის ჯიშთა გამოცდა, რადგანაც ეს ჯიშები არ შეიძლება ჩაითვალოს ამ რაიონებისათვის პერსპექტიულად. თათბირზე მიიღეს დადგენილება შეწყვეტილ იქნას ცდები იმ ჯიშებზე, რომლებიც სამი-ოთხი წლის განმავლობაში არ იძლევიან დადებით შედეგებს.

დასასრულ თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ა. **ზარნაძემ.**

გაგრის რაიონი. მანდარინის კრეფა ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში.
ფოტო უხობოტინისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

# ციტრუსების გამოსაზამთრებელ სამუშაოებს აჭიანურებენ

(ფოთი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ციტრუსების გამოზამთრებისათვის მზადებაში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. მართალია, კოლმეურნეობებმა და ციტრუსების პლანტაციების მქონე ორგანიზაციებმა დროულად დაამთავრეს ციტრუსების ნარგავების ნორჩი ყლორტების წაკვეცა და პლანტაციებში სადრენაჟო ქსელის გაწმენდა-მოწყობა, მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება ციტრუსების გამოზამთრების საკითხები.

შესაფუთი მასალა და სარები საკმაო რაოდენობით არა აქვთ მომარაგებული ახალ-სოფლის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე—რ. მაკალათია) და ყულევის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე—შ. სიჭინავა), კოლხიდის სატყეო მეურნეობის პლანტაციაში.

ციტრუსების გამოზამთრების ღონისძიებებში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნარგავების შეწამვლას. საჭიროა ამთავითვე დაიწყოს დაავადებულ მცენარეთა მკურნალობა და ჯანსაღ პლანტაციებში სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება. მსხმოიარე პლანტაციებში შეწამვლა ნაყოფის მოკრეფის შემდეგ უნდა მოხდეს, ხოლო არამსხმოიარე პლანტაციებში შეწამვლის დაწყება ახლავე შეიძლება. ფოთში კი ეს სამუშაო ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს (შეწამვლა დაწყებულია მხოლოდ ახალ-სოფლის კოლმეურნეობაში და გრეიფრუტის საბჭოთა მეურნეობაში).

ზოგან ჯერ კიდევ არ დაუწყიათ ფარდულებში შესატანი ნერგების შეწამვლა. მაგალითად, ს. ყულევის კოლმეურნეობაში არც ფარდულის დეზინფექცია ჩაუტარებიათ და არც ფარდულში შესატანი ნერგების შეწამვლა. ციტრუსების შეწამვლაზე მიმაგრებულმა მიწგანის აგრონომმა ვ. გოგინავამ ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ „ტრანსპორტი ვერ ვიშოვეთ ყულევში შხამ-მასალის გადასატანადო". მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება.

საკარმიდამო ნაკვეთებზე ციტრუსების გამოზამთრების ღონისძიებანი სუსტად ტარდება, ზოგან სადრენაჟო ქსელიც არ არის გაწმენდილი, შესაფუთი მასალაც არ მოუმარაგებიათ.

ფოთის რაიმიწგანმა შექმნილი მდგომარეობიდან დროულად უნდა გააკეთოს ყველა საჭირო დასკვნა.

**ზ. მელიქია**

# შესანიშნავი ცდები მრავალწლოვანი ხორბლის გამოყვანისა საქართველოში

სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია მრავალწლოვანი ხორბლის მიღების ცდებმა, რომელთა ინიციატორი იყო სასოფლო - სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი ნ. ვ. ციცინი, ამჟამად ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად-საკავშირო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ანალოგიური მუშაობა ტარდება საქართველოში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თბილისის ბოტანიკური ბაღის კულტურულ მცენარეთა განყოფილების მიერ. განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ვ. ლ. მენაბდემ საინტერესო მუშაობა ჩაატარა მინდვრის საცდელ ნაკვეთზე, რათა ადგილობრივი ქართული ჯიშების ბაზაზე გამოეყვანა მრავალწლოვანი ჰიბრიდული ხორბალი.

ვ. ლ. მენაბდე არის საქართველოს სასელექციო სადგურის მუშაკი, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობს ქართულ ხორბალთა შესწავლაზე. იგი იღებდა ხორბლის ქართულ ჯიშს „ტრიტიკუმ ტიმოფეევას" და „ტრიტიკუმ მახას" და აჯვარებდა მათ სარეველა „აგროპირუმთან" (ჭანგასთან) და შედეგად მიიღო ჰიბრიდის პირველი გენერაცია. უახლოეს ამოცანას წარმოადგენს მიღება გამძლე ხორბლის ჯიშისა, რომელშიც შეერთებული იქნება: მრავალწლიანობა, გვალვისა და ყინვის გამძლეობა, აგრეთვე სხვადასხვა სოკო - დაავადებათათვის წინააღმდეგობის გაწევის თვისება.

მინდვრად მოყვანის დროს წლის განმავლობაში შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ერთი გენერაცია. იბადება კითხვა ხორბლის ჰიბრიდის მოყვანისა ორანჟერიაში, განუწყვეტელი სადღეღამისო განათების პირობებში. ორანჟერია სპეციალური ელნათურებით უნდა იყოს განათებული, ვინაიდან გამოირკვა, რომ მცენარეს არ ესაჭიროება ღამე სინათლისაგან დასვენება. თუ საჭირო პირობები იქნება, ამ გზით შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ოთხამდე გენერაცია მივიღოთ.

გაეცნო რა ბოტანიკური ინსტიტუტის გეგმებს, თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა სპეციალური სათბური გამოჰყოს თბილისის ბოტანიკურ ბაღში ამ ცდების საწარმოებლად.

შემდგომი შერჩევის გზით შესაძლებელია მიღებულ იქნას ხორბლის ახალი ჯიში, რომელსაც ექნება საკმაოდ მსხვილი მარცვალი, კარგი პურსაცხობი თვისებანი და, კერძოდ, ცილოვანი ნივთიერების დიდი რაოდენობა.

ამ ცდების ჩატარებას საქართველოს ფარგლებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ საქართველოს მთიან რაიონებში (რაჭა, სვანეთი) ხორბლის ისეთ ჯიშთა თვალსაჩინო რიცხვი მოიპოვება, რომლებსაც სხვაგან არსად ვხვდებით, კერძოდ „ზანდური" და „მახა", რომელთაც ახლო ნათესაობა აქვთ ხორბლის ყველა კულტურულ სახესთან.

აკადემიკოსი ნ. ი. ვავილოვი გამოსთქვამს აზრს, რომ საქართველო არის სამშობლო ხორბლის ყველა კულტურული ჯიშისა, რომელიც კი მოჰყავთ საბჭოთა კავშირში და ყველგან ევროპაში.

ხორბალი „ზანდური" და „მახა" შეიძლება გამოყენებულ იქნას შეჯვარებისა და სელექციისათვის. ისინი ხელს შეუწყობენ არსებული ჯიშების გამძლეობას არახელსაყრელ გარეშე პირობებისადმი.

O

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა მოხსენება დოცენტ ვ. ლ. მენაბდის შრომების შესახებ, სცნო, რომ ამ შრომებს დიდი თეორიული, მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

ცდებს განაგრძობენ ფილიალის მეთვალყურეობით. (საქდესი).

# ტყიბულის მაღაროელებმა უკეთ უნდა იმუშაონ

(ტყიბული, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება ქვანახშირის კომბინატებისა და ტრესტების მუშაობის შესახებ ტყიბულის მაღაროების პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მუშათა კოლექტივს ავალებდა ქვანახშირის ამოღების გადიდებას, მოსამზადებელ სამუშაოთა ხაზის გაზრდას და თვითღირებულების შემცირებას.

ფაქტიურად რა გაკეთდა ამ მხრივ?

10 თვეში ნაცვლად 219.100 ტონისა ამოღებულია 211,752 ტონა ქვანახშირი, ანუ დავალების 96,6 პროცენტი, ლენინის სახელობის მაღარომ დავალება შეასრულა 101,4 პროცენტით, სტალინის სახელობის მაღარომ — 90 პროცენტით. ქვანახშირის ამოღება საგრძნობლად შემცირდა მესამე კვარტალში და ოქტომბერში.

ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსამზადებელი სამუშაოები. სექტემბერში გეგმით უნდა გაევლოთ 1077,7 გრძივი მეტრი, ფაქტიურად გაიარეს 370 მეტრი — გეგმის 34,3 პროცენტი, აქედან ლენინის სახელობის მაღაროში გავლილია 237,7 მეტრი, ხოლო სტალინის სახელობის მაღაროში 135,5 მეტრი. მოსამზადებელი სამუშაოების გეგმის შესრულებაში ოქტომბერში სამარცხვინოდ ჩამორჩა სტალინის სახელობის მაღარო (მაღაროს უფროსი — აკ. კუბლაშვილი). ამ მაღარომ ოქტომბერში მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა 22,7 პროცენტით შეასრულა.

ქვანახშირის თვითღირებულება შეუწყნარებლად იზრდება. სტალინის სახელობის მაღაროს ერთ ტონა ქვანახშირზე გადახარჯვა აქვს 11 მან., რის გამო 8 თვეში გადაიხარჯა 714.417 მანეთი. ტრესტის მიხედვით 8 თვეში ამოღებულ ქვანახშირზე გადახარჯულია 806.143 მანეთი.

ქვანახშირის ამოღების საქმეში ლენინის სახელობის მაღაროს ჩამორჩენა გამოწვეულია მოსამზადებელ სამუშაოთა მოუწყობლობით. მაღაროს მთავარი ინჟინერი ფ. ნაჭყეპია არ ასრულებდა მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმას. ფ. ნაჭყეპიამ არ შეასრულა ტრესტის მმართველის განკარგულება „კამერტონის" დამუშავების შესახებ.

მაღაროებში ადგილი აქვს მანქანებისადმი ანტიმექანიზატორულ განწყობილებას, გამყელავი მანქანა მეექვსე ველში გამოუყენებლად დგას. მანქანის უმოქმედობის გასამართლებლად ინჟ. ნ. ქარქაშაძემ კადრების სიმცირე მოიმიზეზა. სამთო მანქანა „პიტკარლოდერი" ლენინის სახელობის მაღაროს 6 ველში 11 ნოემბერს უმოქმედოდ იდგა.

არც სტალინის სახელობის მაღაროშია სახარბიელო მდგომარეობა. 10 დღე გამოუყენებელი იყო რხევითი კონვეიერი. იგი როგორც იქნა აამუშავეს 4 ნოემბერს, მაგრამ რადგან ხეირიან საძირკველზე არ იდგა ქანაობა დაიწყო და სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო.

2 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე შეჩერებული იყო პირველი მოსამზადებელი უბნის დასავლეთი მხარის წინსვლა. რადგან ტრესტის ელმექანიკოსმა მ. გარიბოვმა სტალინის სახელობის მაღაროს ვენტილატორისათვის არ მისცა კაბელი, რომელიც საწყობში ჰქონდა ჩაკეტილი.

ტყიბულნახშირის ტრესტს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების მეორე მუხლი ციკლური მუშაობის დანერგვის შესახებ. ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ს. მირაქოვმა ეს ისტორიული დადგენილება სრულიად დაივიწყა.

კიდევ მეტი. ლენინის სახელობის მაღაროში თავი იჩინა ციკლური მუშაობისადმი საბოტაჟურმა განწყობილებამ. მაღაროს მთავარი ინჟინერი ფ. ნაჭყეპია აცხადებს, რომ „ციკლური მუშაობა ტყიბულის მაღაროებში ხელსაყრელი არ არისო".

ტყიბულში კვლავ ადგილი აქვს ავარიებს. აქ არ ეძებენ კონკრეტულ დამნაშავეებს და არ აძლევენ მათ სასამართლო პასუხისგებაში. სტალინის სახელობის მაღაროში არასრული აღრიცხვით ივლისის შემდეგ ადგილი ჰქონდა რამდენიმე მცირემნიშვნელოვან ავარიას, რის გამო მაღარო გაცდა 93 საათს, დაიკარგა 730 ტონა ქვანახშირი.

მაღაროების პარტიულმა ორგანიზაციებმა კომუნისტების უმრავლესობა მიწისქვეშა სამუშაოებზე გაგზავნეს და საქ. კ. პ. (ბ) რიგებში პირველ რიგში ღებულობენ ქვანახშირის ფრონტის საუკეთესო მებრძოლებს.

სტალინის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის 78 კომუნისტიდან 52 მიწისქვეშა სამუშაოზეა. 4 ნოემბერს პარტორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიიღო მაღაროს 5 სტახანოველი.

გაიზარდა კომუნისტების ავანგარდული როლი. მაღაროში მომუშავე ყველა კომუნისტი სტახანოველია. კომუნისტი არ. ბრეგვაძე დაწინაურდა მეორე საექსპლოატაციო უბნის უფროსად, მისი ხელმძღვანელობით უბანი 105 — 110 პროცენტით ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას. სტახანოველი მუშა კომუნისტი ქ. ბეშკენაძე დაწინაურდა ცვლის უფროსად. დაწინაურების პირველ დღეს მან ნაცვლად 90 ტონა ქვანახშირისა 115 ტონა ამოიღო.

აქამდე მაღაროებში პირველადი პარტორგანიზაციები არ იყო. ახლა ყველა ცვლასა და ბრიგადაშია პარტჯგუფორგი.

ტყიბულის მაღაროებს ჰყავს ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბევრი თავდადებული მებრძოლი. ლენინის სახელობის მაღაროს ქვანახშირის ნგრევის ოსტატებმა ალ. დარსაძემ, ი. დადუნაშვილმა, გ. ცირეკიძემ და ლ. ცქიფურიშვილმა სექტემბერში 150 პროცენტით შეასრულეს 1938 წლის საწარმოო დავალება.

სტალინის სახელობის მაღაროს სახელმოხვეჭილმა სტახანოველებმა ი. ცეცხლაძემ, ქ. ბეშკენაძემ, გ. ღვინეფაძემ და ი. და გ. ქართველიშვილებმა (მამა-შვილი) ოქტომბრის შუა რიცხვებში 140-150 პროცენტით შეასრულეს ქვანახშირის მონგრევისა და დატვირთვის წლიური გეგმა.

მაღაროს ხელმძღვანელობა ხელს ვერ უწყობს მუშებს და მაღაროდან გამოტანილი ქვანახშირი სარჩევ-სარეცხ ლენტებზე ვერ გადააქვს, რის გამო მუშები ყოველდღიურად 3-4 საათით ცდებიან.

მაღაროებში ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული შრომის დისციპლინა. სტალინის სახელობის მაღაროს მუშები ირაკლი რიჟამაძე, ვ. კუპრაშვილი, შ. ბრეგაძე, ს. სოთრომაძე, დ. ჭუმბურიძე, ს. დენისიუკი, ბელიჩევი და სხვები ხშირად აცდენენ დღეებს, მაგრამ მათ წინააღმდეგ ზომებს არავინ ღებულობს.

ცუდია მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობები. უვარგისად მუშაობენ № 1, 2 და 3 მაღაროების მუშათა სასადილოები. მუშები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ სასადილოების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობის გამო. არადამაკმაყოფილებელია მუშათა საბინაო პირობებიც. მარტო ლენინის სახელობის მაღაროში 314 ოთახი მოითხოვს შეკეთებას. მაღაროს საყოფაცხოვრებო სექტორის უფროსი არ. ბუბაშვილი ამისათვის არ ზრუნავს, მეტ დროს ლოთობას ანდომებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დღეებში ტყიბულის მაღაროებში დაიწყო აღმავლობა. 20 ნოემბერს ქვანახშირის ამოღების გეგმა 104,3 პროცენტით შესრულდა, ხოლო 21 ნოემბერს — 101,7 პროცენტით. განსაკუთრებული წინსვლაა მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის შესრულებაში. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება ერთი წუთითაც არ შეიძლება.

ამ დღეებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის 1938 წლის 13 ნოემბრის ბრძანება „ქვანახშირის შახტებში საგანწესო სისტემის შემოღების შესახებ", რომელიც წარმოადგენს შახტებში საწარმოო პროცესის ზუსტი მართვის საუკეთესო საშუალებას.

ტყიბულელებმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილების და ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანების ნამდვილი რეალიზაციით მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლის შესანიშნავი ნიმუშები უნდა გვიჩვენონ.

**დ. საბელაშვილი.**



თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის საბარგო-სავაგონო საამქროს ბრიგადირი, სტალინური გაწვევის დამკვრელის ნიშნით დაჯილდოვებული ამხ. ს. ბაბაევი (მარცხნივ) ვაგონის შეკეთებაზე.
ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

კონსულტაცია

# ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესახებ

თავის წერილში ჟურნალ „ბოლშევიკის" რედაქციისადმი ერთერთი ჩვენი მკითხველი, ამხ. **ვ. ზაიჩენკო** (კომკავშირელი მასწავლებელი ტამბოვის ოლქის ინჟავინოს რაიონის სოფელ ტრესკინიდან) გვთხოვდა მიგვეცა განმარტება შემდეგ საკითხზე:

„კომკავშირელთა კრებაზე ამხ. ივანოვის წერილისა და ამხანაგ სტალინის პასუხის განხილვისას წამოიჭრა კითხვა: შესაძლებელია თუ არა სრული კომუნისტური საზოგადოების არსებობა ქვეყანაში, როდესაც არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა? იყო ორი აზრი. ზოგნი (მათ შორის მეც) ამბობდნენ, რომ ეს შეუძლებელია, ვინაიდან სრული კომუნისტური საზოგადოება გულისხმობს სახელმწიფოს არარსებობას და, მაშასადამე, მისი ორგანოების (არმიის, შინსახკომის, სასამართლოს, საპყრობილეების და სხვ.) არარსებობასაც, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში კი ასეთი საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია.

სხვები (მათ შორის პარტორგიც) ამტკიცებდნენ, რომ კომუნისტური საზოგადოების არსებობა კაპიტალისტურ გარემოცვაში შესაძლებელია. ამასთან ეყრდნობოდნენ იმას, რომ ქვეყანას მთელი შეიარაღებული ხალხი დაიცავსო".

ვაქვეყნებთ პასუხს — კონსულტაციას ამხ. ვ. ზაიჩენკოს მიერ დაყენებულ კითხვაზე.

O

ჩვენს ქვეყანაში ძირითადად აშენებულია კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა (ანუ საფეხური) — სოციალიზმი. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ეს უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, რომელიც მიღწეულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ჩაწერილი და განმტკიცებულია სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვების, სოციალისტური დემოკრატიის კონსტიტუციას.

„...კონსტიტუციამ განამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლის ხანაში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ საწყისად უნდა იყოს კომუნისტური პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს—მისი მოთხოვნილების მიხედვით". [1])

კაპიტალიზმიდან კაცობრიობას შეუძლია გადავიდეს უშუალოდ მხოლოდ სოციალიზმზე, ესე იგი წარმოების საშუალებების საერთო მფლობელობაზე და პროდუქტების განაწილებაზე თვითეულის მუშაობის ზომის მიხედვით, თანახმად სოციალისტური პრინციპისა: „თვითეულისაგან—მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით".

მაგრამ, როგორც მიუთითებდა ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში, „ჩვენი პარტია უფრო შორს იხედება: **სოციალიზმი გარდუვალად უნდა გადაიზარდოს კომუნიზმში,** რომლის დროშაზეც სწერია: „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით". [2])

კომუნისტური საზოგადოების უმაღლესსა და დაბალ ფაზებს შორის „ჩინური კედელი" როდია აღმართული: ეს მხოლოდ ფაზებია ერთი და იმავე კომუნისტური ფორმაციისა, რომელიც ეყრდნობა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას და რომელიც გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას. ლენინი ამბობს: „რამდენადაც **საერთო** საკუთრებად ხდებიან წარმოების საშუალებანი, იმდენად სიტყვა „კომუნიზმი" აქაც (ე. ი. სოციალიზმის დროს.—**რედ.**) შესაბამისია, თუ არ დავივიწყებთ, რომ ეს სრული კომუნიზმი **არ არის".** [3]) ამიტომ ლენინი განსაზღვრავს უმაღლესსა და დაბალ ფაზებს როგორც კომუნისტური საზოგადოების განვითარების მხოლოდ „საფეხურებს", „ეტაპებს".

რამდენადაც სოციალიზმი და კომუნიზმი წარმოადგენენ **ერთი და იმავე** საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების მხოლოდ სხვადასხვა საფეხურებს, ეტაპებს, ფაზებს, მათ შორის არ არის ისეთი პრინციპული განსხვავება, არ არის ისეთი მკვეთრი ზღვარი, როგორც, მაგალითად კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ან თუნდაც ფეოდალურ წყობილებასა და კაპიტალისტურ წყობილებას შორის. სოციალიზმის დროსაც და კომუნიზმის დროსაც ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობების **საფუძველი** ერთი და იგივეა — წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის არარსებობა.

და სწორედ იმიტომ, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი ერთი და იმავე საზოგადოებრივი ფორმაციის სხვადასხვა საფეხურებია, სხვადასხვა ფაზებია, სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად აუცილებლად არ იქნება რევოლუციური „ნახტომი": სოციალისტური საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად განვითარებას ექნება მწყობრი, ევოლუციური ხასიათი, თანდათანობითი გადასვლის ხასიათი.

მაგრამ კომუნიზმის დაბალსა და უმაღლეს ფაზებს შორის, სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის, ფრიად არსებითი განსხვავებებიც არის. უკვე ამჟამად შეიძლება წინასწარ განვჭვრიტოთ, თუ რამდენად დიდი იქნება განსხვავებანი საზოგადოების **საწარმოო** ძალების განვითარების დონეში. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი სწრაფი განვითარების საფუძველზე, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის საფუძველზე მიღწეული იქნება საზოგადოებრივი სიმდიდრის უმაგალითო სწრაფი ზრდა, მარქსის კლასიკური გამოთქმით — „საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სრულ ნაკადად გადმოსჩქეფს". საწარმოო ძალთა უმაგალითო ზრდის საფუძველზე, რომელიც ჩვენ ამჟამად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ მეტად ზოგადად, მიღწეული იქნება მოხმარების საგანთა უდიდესი სიუხვე, რომელიც სწორედ მოგვცემს შესაძლებლობას თანდათანობით გადავიდეთ განაწილების სოციალისტური პრინციპიდან განაწილების კომუნისტურ პრინციპზე.

ლენინი მიუთითებდა, რომ „პოლიტიკურად განსხვავება კომუნიზმის პირველ, ანუ დაბალ, და უმაღლეს ფაზას შორის, რაც დრო გავა, ალბათ უაღრესად დიდი იქნება..." მარქსისა და ლენინის მოძღვრება ამ საკითხზე გამდიდრებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამოცდილებით და ამ გამოცდილების გენიალური განზოგადებით ამხანაგ სტალინის შრომებში. პირველი ფაზის ძირითადი ნიშნები ფიქსირებულია სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში. ამიტომ აქ საჭირო არ არის დაწვრილებით გავაშუქოთ ყველა ეს საკითხი. მოვაგონებთ მხოლოდ შემდეგს. განსხვავება პირველსა და მეორე ფაზებს შორის მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა კომუნისტური საზოგადოების განვითარების ხარისხში. პირველი ფაზა წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოების ისეთ მდგომარეობას, „რომელიც ეს-ეს არის **გამოდის** სწორედ კაპიტალისტური საზოგადოებიდან და რომელიც ამიტომ ყოველნაირად, ეკონომიურადაც, ზნეობრივადაც და გონებრივადაც, ჯერ კიდევ ატარებს „ნაკვალევს" ძველი საზოგადოებისას, რომლის წიაღიდანაც იგი გამოვიდა". [4]) ძველი საზოგადოების ეს „ნაკვალევები", ანუ „თანდაყოლილი ხალები", როგორც მათ მარქსი უწოდებს, მდგომარეობენ კაპიტალისტური ნაშთების არსებობაში ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში. ამ ფაზაზე ჯერ კიდევ სრულად არ არის ლიკვიდირებული დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის, რჩება დაპირისპირება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, ესე იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ლიკვიდირებული შრომის ძველებური განაწილება, კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული. ჩვენ კიდევ გვაქვს კლასობრივ განსხვავებათა ნაშთები. დაბალ ფაზაში განაწილების პრინციპს წარმოადგენს „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს შრომის მიხედვით".

სოციალისტური პრინციპი „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს შრომის მიხედვით" წარმოადგენს, ლენინის გამოთქმით, საზოგადოების წევრებს შორის პროდუქტების განაწილებისა და შრომის განაწილების უმნიშვნელოვანეს „რეგულატორს", „განმსაზღვრელს". „იმ დრომდე, ვიდრე დადგებოდეს კომუნიზმის „უმაღლესი" ფაზა, სოციალისტები მოითხოვენ **უსასტიკეს** კონტროლს საზოგადოების მხრით და **სახელმწიფოს მხრით** შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე..." [5])

ამ სოციალისტური პრინციპის აუცილებლობა განპირობებულია კომუნიზმის პირველი ფაზის ერთობლივი პირობებით, **განპირობებულია** საწარმოო ძალთა განვითარების ხარისხით, შრომის ნაყოფიერების დონით, — რომელიც საშუალებას არ აძლევს საზოგადოებას ერთბაშად გადავიდეს მოხმარების საგნების განაწილებაზე საზოგადოების წევრთა პირადი მოთხოვნილებების შესაბამისად, — მუშათა კლასის კულტურულ - ტექნიკური დონით. გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის ჯერ კიდევ არსებული დაპირისპირებით. სოციალისტური პრინციპი განპირობებულია აგრეთვე იმ გარემოებით—და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, — რომ შრომა ჯერ კიდევ სრული ზომით არ გახდარა ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად, რომ ჯერ კიდევ საჭიროა უსასტიკესი კონტროლი შრომის ზომაზე იმ პრინციპის მიხედვით, რომ „ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს". „...უტოპიზმში გადაუვარდნელად არ შეიძლება იმის ფიქრი, — სწერდა ლენინი, — რომ კაპიტალიზმის დამხობისთანავე, ადამიანები ერთბაშად ისწავლიან საზოგადოებისათვის მუშაობას **უფლების ყოველგვარი ნორმების გარეშე, თანაც ასეთი** ცვლილების ეკონომიურ წანამძღვარებს კაპიტალიზმის გაუქმება **ერთბაშად როდი იძლევა".** [6]) არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალიზმის დროს კიდევ რჩება კაპიტალიზმის ნაშთები ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში: წვრილბურჟუაზიული დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრებისადმი, შრომის დისციპლინის დარღვევა, წამგლეჯობა, წვრილბურჟუაზიული, გათანაბრებითი განწყობილებანი. მშრომელთა ნაწილის შეგნებაში კიდევ არსებობენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მორალის, რელიგიური ცრურწმენის, ქალთან და ბავშვებთან არასოციალისტური დამოკიდებულების ნაშთები.

მუშათა კლასისა და გლეხთა კლასის ბუნება ძირფესვიანად შეიცვალა. ისინი გახდნენ სხვაგვარი, მსოფლიოში უნახავი კლასები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ისევ კლასები არიან, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაუკარგავთ თავისი კლასობრივი ნიშნები. ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთებთან ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში, ბრძოლა ანტისახელმწიფოებრივ ტენდენციებთან, წვრილმესაკუთრულ ნიშნებთან და ჩვეულებებთან სოციალიზმის პერიოდში უაღრესად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს.

ეს კაპიტალისტური ნაშთები საგრძნობლად რჩებიან მას შემდეგაც, რაც მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა: ადამიანთა შეგნება აუცილებლად ჩამორჩება ეკონომიკას. გარდა ამისა ხალხის მტრები და კაპიტალისტური გარემოცვა შეგნებულად უწყობენ ხელს ამ ნაშთებს და ცდილობენ მათს გაცხოველებას, მიისწრაფიან რა გამოიყენონ ისინი თავისი მტრული მიზნებისათვის. მშრომელნი თავს აღწევენ ამ ცრურწმენებს „არა ერთბაშად, არა სასწაულით, არა ღვთისმშობლის ბრძანებით, არა ლოზუნგის, რეზოლუციის, დეკრეტის ბრძანებით, არამედ მხოლოდ ხანგრძლივ და ძნელ მასობრივ ბრძოლაში მასობრივ წვრილბურჟუაზიულ გავლენებთან". [7])

შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების აღზრდა კომუნიზმის პირველი ფაზის ერთერთი მთავარი ამოცანაა. პატიოსანი, სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი წარმოადგენს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის დაძლევის მხრივ ჩვენი წარმატებების მთავარ მაჩვენებელს. შრომისადმი მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით დავაჩქარებთ ჩვენ ჩვენს წინსვლას კომუნიზმის უმაღლესი ფაზისაკენ.

ბრძოლა შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებისათვის მოასწავებს სოციალისტური პრინციპის უსასტიკესად დაცვას, უსასტიკეს კონტროლს სახელმწიფოს მხრით და მთელი საზოგადოების მხრით შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე. სოციალისტური პრინციპი, ახამებს რა საზოგადოებრივ ინტერესებს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების პირად ინტერესებთან, წარმოადგენს უდიდეს ეკონომიურ ძალას, მთელი ჩვენი განვითარების უდიდეს სტიმულს. შრომისადმი შეგნებულ, სოციალისტურ დამოკიდებულებას განამტკიცებს თვითეული მშრომელის პირადი დაინტერესება, პირადი მატერიალური სტიმული. და ამაში სოციალისტური პრინციპის უდიდესი ძალა. შემთხვევით კი არ იყო, რომ ხალხის მტრები ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ამ პრინციპისათვის და დაეღუპათ სოციალიზმის საქმე. ნერგავდნენ რა გათანაბრებას კოლმეურნეობებში და სახელმწიფო საწარმოებში, ხალხის მტრები, რომლებიც იქ მოტყუების გზით შეიპარნენ, ლამობდნენ დაენგრიათ კოლმეურნეობები, ჩაეშალათ საწარმოებში სახელმწიფო გეგმის შესრულება და შეეფერხებინათ მთელი ჩვენი მოძრაობა.

სოციალისტური პრინციპის შრომის მიხედვით ანაზღაურების პრინციპის — თანმიმდევრულად გატარე-

---

[1]) საქ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 421. სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორი. 1938.

[2]) **ვ. ი. ლენინი** „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში". თხზ. ტ. XX, გვ. 132. ხაზი ჩვენია, — **რედ.**

[3]) **ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. XXI, გვ. 438.

[4]) **კ. მარქსი** „გოთას პროგრამის კრიტიკა". ციტატა მოყვანილია ვ. ი. ლენინის თხზულებების მიხედვით ტ. XXI, გვ. 433.

[5]) **ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. XXI, გვ. 437.

[6]) იქვე, გვ. 435.

[7]) ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXV, გვ. 247

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

## უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ

**კიევი,** (საქდესი). გამოდიოდა რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლასთან დაკავშირებით", უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, გააერთიანოს უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის ერთ განყოფილებად.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა გაზეთ „კომუნისტის", „სოვეტსკაია უკრაინის", „კომსომოლეც უკრაინის", „სტალინსკოე პლემიას" რედაქციებს შეარჩიონ პროპაგანდის განყოფილებებში, რომლებიც ახლა ეწყობა, შემოწმებული და თეორიულად მომზადებული მუშაკები. პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ შეუდგნენ ლექტორთა ჯგუფების ჩამოყალიბებას, მოაწყონ პროპაგანდისტთა სემინარები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი წრეებისათვის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების შესაბამისად, რომელიც სემინარებს შეეხება, და შეუდგნენ პროპაგანდისტების შერჩევას.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას უკრაინის განსახკომთან ერთად დაევალა შეარჩიოს 1939-40 სასწავლო წლის დასაწყისისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრათა ხელმძღვანელები.

## რაიონული პარტიული კრება

(სტალინირი, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

29 ნოემბერს ჩატარდა რაიონული პარტიული კრება. კრებაზე საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მდივანმა ამხ. ალ. ცხოვრებოვმა გააკეთა მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". რაიონულმა პარტიულმა კრებამ ერთხმად მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება და მისი შესრულებისათვის დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

**ქ. ტრაპაიძე**

## ლექციები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" პირველი თავის თემაზე

**ფოთი,** (საქდესი). ამ რამდენიმე დღის წინათ ქალაქის სკოლებისა და ტექნიკუმების პედაგოგებისათვის მოეწყო ლექცია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" პირველი თავის თემაზე. ლექციას 200 კაცი დაესწრო. ლექცია დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს და მისი დამთავრების შემდეგ მრავალი შეკითხვა მისცეს ლექტორს — საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. გ. ასანიძეს, ზოგიერთმა დამსწრე პედაგოგმა აცნობა შეკრებილთ, თუ როგორ დაიწყეს მათ დამოუკიდებლად მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესასწავლად და როგორ სარგებლობენ პირველწყაროებით.

25 ნოემბერს პარტიული განათლების სახლში ინჟინრების, ბუღალტრების, აგრონომებისა და სხვებისათვის ამავე თემაზე წაიკითხა ლექცია ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ლაღიძემ. პარტიული განათლების სახლის დარბაზში მრავლად მოიყარა თავი ქალ. ფოთის საბჭოთა ინტელიგენციამ, რომელმაც დიდი ყურადღებით მოისმინა შინაარსიანი ლექცია.

## პარტიული თათბირი აბაშის რაიონში

**აბაშა,** (საქდესი). ამ დღეებში შედგა აბაშის რაიონის პარტკომის [illegible], პარტორგებისა და რაიონის პროპაგანდისტების თათბირი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების გამო პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. ცორთხონჯიამ.

თათბირმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი პარტგანათლების დარგში რაც ახასიათებდა აბაშის პარტორგანიზაციებს, როგორიცაა წრეების ჩამოყალიბება ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევით, წრეების დაკომპლექტების არასწორად ჩატარება, ინდივიდუალური მუშაობის შეუფასებლობა, საბჭოთა ინტელიგენციასთან სუსტი მუშაობა და სხვა.

თათბირმა მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებათა ცხოვრებაში მტკიცედ გატარებისათვის.

## საკ. კ. პ. (ბ) ისტორია აფხაზურ ენაზე

(სოხუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის" აფხაზურ ენაზე თარგმნა დამთავრდა. საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის კომისია შეუდგა თარგმანის საბოლოო რედაქციას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" დაიბეჭდება ახალი აფხაზური ალფაბეტით. წიგნი უახლოეს ხანში გამოვა.

**გ. მერკვილაძე**

## ღრმად შევისწავლოთ ბოლშევიკური პარტიის ისტორია

დიდი ინტერესით შეხვდნენ ხელოვნების მუშაკები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ისტორიულ დადგენილებას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

ეს დადგენილება ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციის ფართო პროგრამას წარმოადგენს. ჩვენმა ინტელიგენციამ ახლა სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი ბოლშევიკური პარტიის დიადი ისტორიის შესწავლას, მარქსისტულ - ლენინური თეორიის საფუძვლების დაუფლებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დადგენილება ჩვენთვის, ხელოვნების მუშაკთათვის; იგი უდიდეს სტიმულს მისცემს ხელოვნების მუშაკთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

ახლა თვითეულ საბჭოთა ინტელიგენტს — პროფესორი, ექიმი, ინჟინერი, მომღერალი თუ დირიჟორი იქნება ის — გაეწევა უფრო მეტი დახმარება საკუთარ თავზე მუშაობის დროს. ც. კ-ის დადგენილება ჰგმობს ველურ, ხულიგნურ დამოკიდებულებას საბჭოთა ინტელიგენციისადმი და ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს გაშალონ მათ შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა ინტელიგენციის პოლიტიკური აქტივობის კიდევ მეტად გაძლიერებას.

საოპერო თეატრში მრავალი ინტელიგენტი მუშაობს, პოლიტიკური მუშაობა აქ დღემდე სუსტად იყო დაყენებული. პარტიული ორგანიზაცია ცდილობდა წრეებში ჩაება კომუნისტები, კომკავშირელები და სცენის მუშები, უპარტიო ინტელიგენციის კადრებს კი ყოველთვის არ ექცეოდა საჭირო ყურადღება.

ჩვენთან ცოტა როდია კარგად მომზადებული ინტელიგენტები, რომლებსაც წარმატებით შეუძლიათ დამოუკიდებლად იმუშაონ წიგნზე, შეისწავლონ პარტიის ისტორია და აიმაღლონ თავისი თეორიული შეიარაღების დონე. საჭიროა მხოლოდ, რომ პარტიული ორგანიზაცია დაეხმაროს მათ კონსულტაციით, მოხსენებებისა და ლექციების მოწყობით.

ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს შევისწავლოთ ბოლშევიზმის ისტორია. ამ დარგში უეჭველად მივაღწევთ წარმატებას, რადგან გვახსოვს ც. კ-ის დადგენილების შესანიშნავი სიტყვები: „იმისათვის, რომ დაეუფლო მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, საჭიროა მხოლოდ გამოიჩინო მონდომება, შეუპოვრობა და ხასიათის სიმტკიცე ამ მიზნის მიღწევაში".

**შ. აზმაიფარაშვილი**

ორდენოსანი დირიჟორი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## ამხ. გოგოშა შარტავა მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) რიგებში

ცხაკაიას რაიონის სოფელ პირველ მაისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ქალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. გოგოშა შარტავა სავსებით ამართლებს პარტიისა და ხალხის ნდობას. მან მთელი ენერგიით მოჰკიდა ხელი საზოგადოებრივ - კულტურული და საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეს, დიდი მუშაობა გაშალა სტახანოველთა რიგების გამრავლებისათვის. ამხ. შარტავამ თავისი გამოცდილების გაზიარებით აღზარდა და გვერდში ამოიყენა მრავალი ათეული ჩაის მკრეფავი ქალები, რომლებიც გეგმის შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან.

თავდადებული და მუყაითი მუშაობით ამხ. შარტავამ კიდევ უფრო მეტი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა კოლმეურნეთა მასაში. ამიტომ ამ ერთი თვის წინათ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ერთხმად აირჩია იგი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ.

სოფ. პირველი მაისის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ ამხ. შარტავა მიიღო საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

**ვ. კალანდარიშვილი**

## ს. მ. კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებები

1 დეკემბერს სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში პირველი ცვლის მუშაობის დამთავრების შემდეგ საამქროებში ჩატარდა მუშა - მოსამსახურეთა მიტინგები, მიძღვნილი რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის — ამხ. კიროვის ხსოვნისადმი.

მოხსენებით სერგეი მირონის-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდნენ ამხ. კუჭავა, ჯეგლოვი, იაკობიძე და მეფარიძე. მუშები დიდი სიყვარულით იგონებდნენ რა მედგარი რევოლუციონერ-ლენინელის, დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის დიად სახეს, წყევლა - კრულვითა და ზიზღით იხსენიებდნენ საზიზღარ ქვეწარმავალთ, რომელთა ავაზაკური ხელით ვერაგულად განიგმირა დიდი ბოლშევიკი რაინდის გული.

პარტიის წევრმა, გზათა სახალხო კომისარიატის ინსპექტორმა — ამხ. ი. პიტუშინმა თავის სიტყვაში სთქვა:

— ოთხი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საზიზღარი მტრების მიერ გასროლილმა ტყვიამ შესწყვიტა კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის, სპეტაკი ბოლშევიკის ს. მ. კიროვის მჩქეფარე სიცოცხლე. მახსოვს კიროვის სახე. რამდენიმე წლის წინ, როცა იგი საქართველოში მუშაობდა, სხვებთან ერთად, მეც მქონდა ბედნიერება შემესრულებინა მისი დავალებანი.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სამანქანო საამქროს სტახანოველი ზეინკალი ათანასოვი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი კოშაძე, ინჟინერი ტუაშვილი, ბურჭულაძე და სხვები, რომლებიც თავიანთ გამოსვლებში ხაზს უსვამდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ღრმად შესწავლისა და რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გამახვილების საჭიროებას.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკაბინეტის მეთოდისტი ამხ. ვ. ბურდილაძე (მეორე მარცხნიდან) ატარებს კონსულტაციას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე.

ფოტო ი. ბუდეშტკისა („სოიუზფოტო" საქ. გან.).

## ლოპოტას მარმარილო

1929 წელს ცნობილმა ალპინისტმა ალიოშა ჯაფარიძემ თავისი ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მდინარე ლოპოტას ხეობაში შემთხვევით ნახა თეთრი მარმარილოს ნატეხები. ის დაინტერესდა ამით და ანალიზისათვის გადასცა ნედლეული მინეროლოგიის ინსტიტუტს. ანალიზმა დადებითი შედეგი გამოიღო. მაშინ ინსტიტუტმა გამოჰყო გეოლოგიური პარტია და მიავლინა ლოპოტას ხეობაში მარმარილოს საძიებელი მუშაობის ჩასატარებლად.

ასე გადაიდგა პირველი ნაბიჯი ლოპოტას მარმარილოს საბადოების აღმოსაჩენად.

○

მდინარე ლოპოტა ჩამოუდის სოფელ ლაფანყურს (თელავის რაიონი). ლაფანყურელი კოლმეურნეების თქმით, ლოპოტას მარმარილოს არსებობა მათ ადრევე იცოდნენ და პირველ ხანებში სალესავად ვარგისი ქვა ეგონათ. მის ნატეხებს ბევრს პოულობდნენ რიყეში და ჩამოჰქონდათ სახლებში.

როდესაც ჯაფარიძე გამოსაუბრებია ლაფანყურელ კოლმეურნეებს, მათ დაუდასტურებიათ მარმარილოს არსებობა „ცოფის გორაზე" და დაჰპირებიან დახმარების აღმოჩენას, თუ კი დაიწყებოდა საძიებელი სამუშაოები.

○

1931-1932 წლებში გაიშალა საძიებელი მუშაობა. უკვე 1933 წელს „ცოფის გორაზე" მუშაობა დაიწყო გეოლოგიურმა პარტიამ ინჟინერ-გეოლოგ მონცელიძის მეთაურობით. მუშაობის პროცესში გეოლოგთა პარტიამ, რომელსაც დამხმარე მუშად 150 კაცამდე ჰყავდა, აღმოაჩინა მარმარილოს საბადოები მახლობელ მთებშიაც. ჩატარებულმა ანალიზებმა დაადასტურეს ლოპოტას მარმარილოს საუკეთესო თვისებები. წარმოებას მიეცა გეგმა სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი მშენებლობებისათვის გამოეტანა 80 კუბური მეტრი მარმარილო. ამ დავალების შესრულებას გადაეღობა გზების უქონლობა. წარმოების დირექტორმა (იმ დროს) ამხ. ვახტანგ უთიაშვილმა მრავალჯერ დააყენა საკითხი როგორც ადგილობრივ, ისე ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ რაიმე შედეგს მაინც ვერ მიაღწია. სახსრების უქონლობამ და კარზე მომდგარმა ზამთარმა აიძულა სამუშაოთა მწარმოებელი ხელმძღვანელობა შეეწყვიტა მუშაობა ახალ განკარგულებამდე.

საურმე გზა, რომელიც 1932-1933 წლებში იქნა გაყვანილი, დაზიანდა, ზვავებმა და თოვლის ნამქრებმა ზოგიერთ ადგილას გზის ნასახიც კი წაშალა.

○

გავიდა წლები.

1937 წელს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მშენებლობისათვის შესაფერისად იქნა ცნობილი ლოპოტას მარმარილო. „ცოფის გორაზე" ისევ განახლდა მუშაობა. აღდგენილ იქნა საურმე გზა. ნაფარეულის, ართანის და ლაფანყურის კოლმეურნეობებმა საავტომობილო გზამდე გამოზიდეს მარმარილოს ლოდები. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მშენებლობამ თბილისში საჭირო რაოდენობით მიიღო თეთრი მარმარილო.

ამავე წელს, მოსკოვის „მეტრომშენის" არქიტექტორული გაფორმების მთავარმა ინჟინერმა ამხ. ზელენინმა, პირადად ადგილზე დაათვალიერა ლოპოტას მარმარილოს საბადოები და სათანადო ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე დააყენა მეტროს მშენებლობისათვის მისი ექსპლუატაციის საკითხი.

ამავე წელს დაისვა საკითხი, რომ ლოპოტას მარმარილოთი უზრუნველყოფილ იქნას საბჭოების სასახლის მშენებლობა მოსკოვში. გარდა ამისა, „საქართველოს მარმარილომ" მიიღო დაკვეთები სხვადასხვა ორგანიზაციებისაგანაც.

ამ საკითხის გადაჭრა არც ისე იოლი აღმოჩნდა.

— ლოპოტას მარმარილოზე არსებული მოთხოვნილება რომ დავაკმაყოფილოთ, — ამბობს „საქმარმარილოს" მმართველი ამხ. დონაძე,— საჭიროა პირველ რიგში საავტომობილო გზის გაყვანა 13 კილომეტრის მანძილზე (კიპრუჭების ციხიდან ცოფის გორამდე). გზის მშენებლობა კი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად შეუძლებელია.

კითხვაზე, — რა პერსპექტივები აქვს ლოპოტას მარმარილოს, ამხ. დონაძემ განაცხადა:

— ჯერ კიდევ აგვისტოში მოსკოვიდან ლოპოტას მარმარილოს საკითხზე ჩამოვიდნენ „მეტრომშენის" და საბჭოების სასახლის მშენებლობის წარმომადგენლები. მათ სერიოზულად დააყენეს ჩვენს წინაშე საკითხი, რათა ლოპოტას მარმარილოთი უზრუნველვყოთ მეტროს მესამე რიგის და მთავრობის სასახლის მშენებლობა.

საკითხი დაისვა საქ. კ. პ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. ამ საკითხზე ამხ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით ჩატარდა თათბირი, ხოლო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბიუროს სხდომაზე 5 აგვისტოს გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება ლოპოტას მარმარილოს საძიებელი მუშაობის დაკვრითი წესით ჩატარებისა და ექსპლუატაციის დასაწყებად ნიადაგის ყოველმხრივ მომზადების შესახებ.

ამჟამად სწარმოებს მხოლოდ კვლევა-ძიება. ამ სამუშაოების დამთავრება ნავარაუდევია 1939 წლის იანვრისათვის. როდესაც საძიებელი მუშაობის შედეგები დამტკიცდება „მარაგთა დამამტკიცებელ ცენტრალურ კომისიაში", სასწრაფო წესით დაიწყება საავტომობილო გზის მშენებლობა. გზის მშენებლობაზე დაიხარჯება 3-4 მილიონი მანეთი.

ინჟინერ - გეოლოგების დასკვნით ლოპოტას მარმარილოს მარაგი გამოულეველია. მარმარილოს ასეთი მარაგი არათუ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოშიაც იშვიათად მოიპოვება.

ამჟამად ადგილობრივ მუშაობს გეოლოგიური პარტია ინჟინერ-გეოლოგების დარჩიაშვილისა და მონცელიძის ხელმძღვანელობით. საძიებელი სამუშაოები პირველ რიგში სწარმოებს ვაკე-გორაზე, რადგან, სპეციალისტების დასკვნით ამ მიდამოს მარმარილო თავისი ხარისხით ყველაზე უკეთესია.

„საქმარმარილოს" ხელშეკრულება აქვს დადებული „მეტრომშენთან" და საბჭოების სასახლის მშენებელ ორგანიზაციასთან. ამ ხელშეკრულების თანახმად საბჭოების სასახლის მშენებლობისათვის უნდა გამოზიდულ იქნას 2.500 კუბური მეტრი თეთრი მარმარილო, ხოლო „მეტრომშენისათვის" 1.000 კუბ. მეტრი.

საბჭოების სასახლის მცირე დარბაზი მთლიანად გაფორმებული იქნება ლოპოტას მარმარილოთი.

რაც შეეხება ამ მარმარილოს თვისებას, ამაზე მოკლედ შეიძლება ითქვას: ის არ ატარებს ელექტროდენს, რაც იშვიათია; ლოდები წვრილმარცვლოვანია და ტექნიკურად ადვილად დასამუშავებელი. ამასთან ერთად, დამუშავების დროს ადვილად პრიალდება.

ლოპოტას მარმარილო ძვირფას სამშენებლო მასალას წარმოადგენს. თუ მისი ექსპლუატაცია მექანიზებულად მოეწყობა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საბჭოთა ქალაქების მოთხოვნილებას ამ ძვირფას მარმარილოზე საქართველო დააკმაყოფილებს.

**არ. კოკილაშვილი**

---

ბა, რომელიც მოასწავებს მატერიალური დოვლათის განაწილებას გაწეული მუშაობის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, იწვევს სოციალისტური საზოგადოების თვითეული მშრომელის უშუალო მატერიალური დაინტერესებას შრომის ნაყოფიერების გადიდებით, იწვევს საზოგადოებრივი სიმდიდრის განუწყვეტელ ზრდას. მთელი სისტემა სოციალისტური ურთიერთობისა ქალაქად და სოფლად, მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის განუწყვეტელი ზრდა აღზრდის კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, როდესაც ადამიანები აღარ მიიჩნევენ შრომას მხოლოდ როგორც სამომხმარებლო დოვლათის შეძენის საშუალებას, არამედ იშრომებენ ნებაყოფლობით, მიჩვევით, საერთო სარგებლობისათვის. შრომა უკვე ახლაც ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა სათაკილო და მძიმე ტვირთისაგან, როგორადაც იგი კაპიტალიზმის დროს ითვლებოდა, „ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, **სიმამაცის და გმირობის საქმედ"** (სტალინი).

იმის შედეგად, რომ მიღწეული იქნება მოხმარების საგნების სრული სიუხვე, და შრომა გადაიქცევა ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად, როდესაც აუცილებელი აღარ იქნება კონტროლი შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე, საზოგადოება შევა კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში.

„პროდუქტების განაწილებისათვის მაშინ საჭირო არ იქნება თვითეულის მიერ მიღებული პროდუქტების ნორმირება საზოგადოების მხრით; თვითეული თავისუფლად მიიღებს „მოთხოვნილების მიხედვით". [8])

როგორია კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლის კონკრეტული გზები?

ლენინი ორი ათეული წლის წინათ სწერდა: „თუ რა ეტაპებით, რა პრაქტიკული ღონისძიებების გზით წავა კაცობრიობა ამ უმაღლესი მიზნისაკენ, ჩვენ არ ვიცით და არ შეგვიძლია ვიცოდეთ". [9]) ახლა ჩვენ ვიცით კომუნიზმზე გადასვლისათვის პირობების მომზადების ერთერთი კონკრეტული გზა: ეს არის სტახანოვური მოძრაობა. სოციალისტური მშენებლობის რევოლუციურმა პრაქტიკამ და ამ პრაქტიკის გენიალურმა განზოგადებამ, რაც ამხანაგმა სტალინმა მოახდინა, გახსნეს ეს გზა. „განა ცხადი არ არის, — ამბობდა ამხანაგი სტალინი სტახანოვური მოძრაობის დასაწყისშივე,— რომ სტახანოველები ნოვატორები არიან ჩვენს მრეწველობაში, რომ სტახანოვური მოძრაობა... გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად?"

გონებრივ შრომასა და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებას კაპიტალიზმის დროს აქვს მკვეთრად გამოხატული კლასობრივი, ანტაგონისტური ხასიათი და ყველაზე უფრო მახინჯ ფორმებს აღწევს. მარქსი სწერდა, რომ კაპიტალიზმის დროს გონებრივი შრომის მუშაკები უპირისპირდებიან მუშებს როგორც კაპიტალის წარმომადგენელნი, რომელთა შემწეობით კაპიტალი ექსპლუატაციას უწევს მუშებს. „...წარმოების მატერიალური პროცესის სულიერი პოტენციები უპირისპირდებიან მუშებს როგორც სხვისი საკუთრება და მათი დამმონებელი ძალა". [10]) ამაშია შრომის კაპიტალისტური განაწილების კლასობრივი არსი.

კაპიტალისტების მონოპოლია განათლებაზე გზას უხშობს მუშებს გონებრივი შრომისაკენ. ტექნიკის განვითარება და წარმოების პროცესის გართულება კაპიტალიზმის დროს მუშას აქცევს მხოლოდ ავტომატად, ხრახნად, რომელიც იძულებულია ავტომატურად შეასრულოს მარტივი, ერთგვაროვანი ოპერაციები. ასეთი ერთფეროვანი შრომა გონებას უჩლუნგებს მუშას, სწოვს მას მთელ ძალღონეს.

ერთი ამერიკელი მუშა, რომელსაც ამერიკის საუკეთესო ქარხნებში მრავალი წლის მუშაობის სტაჟი ჰქონდა, ჩამოვიდა სსრ კავშირში და შევიდა ოსტატად სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში. ეს ძველი ამერიკელი მუშა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ამბობდა:

„მე მივეჩვიე იმას, რომ ჩემს სამშობლოში კაპიტალისტებისათვის ხელსაყრელი არ არის მუშებმა გაიგონ დაზგის მუშაობის საიდუმლოება. იქ მათგან ზოგი ავტომატებს აკეთებენ, რომელთა მთელი საქმე ბერკეტის გადაწევ-გადმოწევაში მდგომარეობს".

მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ძალაუფლება მშრომელებს ეკუთვნით, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, — შექმნილია უმაგალითო გასაქანი ფიზიკური შრომის მუშაკთა ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათი დონის ამაღლებისათვის ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა დონემდე, მეცნიერების მწვერვალთა დაუფლებისათვის. ჩვენს ქვეყანაში შრომა და მეცნიერება შეერთებული არიან ერთ მთელად. გონებრივი შრომის მუშაკების, საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის უდიდესი უმრავლესობა გამოსულია მუშებისა და გლეხების წრიდან, მშრომელი ინტელიგენციის წრიდან; ისინი არ უპირისპირდებიან მუშებს, როგორც მათთვის უცხო ძალა, არამედ ხალხის მსახურებს წარმოადგენენ. ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხებისათვის, ყველა მშრომელებისათვის გახსნილია ფართო გზა განათლებისაკენ, ტექნიკური დონის ამაღლებისაკენ. ამ საქმეზე სახელმწიფო არ ზოგავს უდიდეს სახსრებს.

ახასიათებდა რა სტახანოვური მოძრაობის ფესვებს, ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ იგი აღმოცენდა მუშათა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანი გაუმჯობესების საფუძველზე, იმის საფუძველზე, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა სათაკილო ტვირთისაგან, როგორიც იგი არის კაპიტალიზმის დროს, გადაიქცა ღირსების, სიმამაცისა და გმირობის საქმედ, რომ ჩვენში შექმნილია ახალი კადრები, რომლებიც სავსებით დაეუფლნენ რთულ, მოწინავე ტექნიკას ორი სტალინური ხუთწლედის წლებში. სტახანოველები არიან ახალი ადამიანები, რომლებიც ღრმად ერკვევიან მთელი ტექნოლოგიური პროცესის რთულ პროცესებში, ესენი არიან „თავისი საქმის პროფესორები", როგორც აღნიშნა ამხანაგმა ვოროშილოვმა, ნოვატორები მეცნიერების დარგში, რომლებიც წინ სწევენ მეცნიერებას. სწორედ ამიტომ სტახანოვურ მოძრაობას მივყევართ შრომის ძველი, ადამიანის დამმონებელი, კაპიტალისტური განაწილების მოსპობისაკენ.

შრომის კაპიტალისტური განაწილება ნიშნავს ადამიანის მიმაგრებას განსაზღვრულ პროფესიაზე მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, იგი ითვალისწინებს ადამიანის ცალმხრივ განვითარებას, ე. ი. დაკავშირებულია მუშაკის განსაკუთრებული თვისების არსებობასთან.

კაპიტალიზმის ვექილები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ შრომის კაპიტალისტური განაწილების მოსპობა თითქოს ნიშნავდეს შრომის კონკრეტული სახეების მრავალფეროვნების შემცირებას, ესე-იგი, არსებითად, საწარმოო ძალთა დაცემას. ნამდვილად კი კომუნიზმის დროს შრომის კონკრეტული სახეების მრავალფეროვნება ბევრჯერ უფრო დიდი იქნება, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, მაგრამ ეს მიღწეული იქნება არა შრომის ძველი განაწილების გზით, არამედ საწარმოო პროცესების ყოველმხრივი მექანიზაციითა და ავტომატიზაციით ელექტროფიკაციის ბაზაზე, შრომის უმაღლესი ტექნიკური შეიარაღების გზით.

კომუნიზმის ადამიანები იქნებიან ტექნიკურად განათლებული, მაღალკულტურული ადამიანები, რომლებსაც შეგნებული ექნებათ წარმოების ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები მთლიანად. საწარმოო პროცესების მაღალი ავტომატიზაციის საფუძველზე შრომის პროცესი დაკავშირებული არ იქნება მუშაკის განსაკუთრებულ თვისებასთან: შრომის სხვადასხვა სახეების უნივერსალიზაცია გააადვილებს შრომის ერთი სახიდან მეორეზე გადასვლას. ლენინი ლაპარაკობდა კომუნისტური საზოგადოების ადამიანებზე, როგორც „ყოველმხრივ განვითარებულებზე" და „ყოველმხრივ მომზადებულებზე", „რომლებმაც **ყველაფრის გაკეთება** იციან". [11]) მუშის მძიმე და დამქანცველი ფიზიკური შრომა საბოლოოდ შეცვლილი იქნება მანქანით, ავტომატით, და ადამიანის როლი განსაზღვრული იქნება მანქანის მართვით, ავტომატური მანქანების სისტემის მუშაობის თვალისდევნებით, კონტროლით, ესე-იგი მუშის შრომა ძირითადად იქნება საინჟინრო-ტექნიკური ტიპის შრომა. „ავტომატების დანერგვა, — ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. მიქოიანი,—ეს არის გზა ნაყოფიერების გადიდებისა და ფიზიკური შრომისაგან მუშის განთავისუფლებისა, ეს არის გზა მუშის გადაქცევისა მანქანის მეთაურად, მეთვალყურედ და მრეგულირებლად". [12])

და ამ გზას ჩვენ უკვე დავადექით. ორი სტალინური ხუთწლედის წლებში. შექმნილია მოწინავე მძიმე მრეწველობა, რომელიც წარმატებით ანხორციელებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ გადაიარაღებას, შრომის ფართო მექანიზაციას და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას. მთელ რიგ ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორიცაა ქვანახშირი, ნავთი, სოფლის მეურნეობა, სამუშაოთა მექანიზაციის დონის მიხედვით ჩვენ გამოვედით პირველ ადგილზე მსოფლიოში. ჯერ კიდევ 1936 წელს ქვანახშირის ამოღების მექანიზაციამ შეადგინა 88 პროცენტი და ნავთის ამოღებამ—98 პროცენტი. შრომის მექანიზაციის გარეშე არ **იქნებოდა წარმოების** არც ის მაღალი კონცენტრაცია და მასშტაბები, რომელიც ჩვენ გვაქვს, არც ჩვენი ზრდის ისეთი ტემპები, რომლებითაც ჩვენ ვამაყობთ. შრომის მექანიზაცია შრომის გაადვილებისა და მშრომელთათვის დასვენების შექმნის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

ლენინი ჯერ კიდევ 1920 წელს, უდიდესი სამეურნეო ნგრევის პირობებში, ფართო მექანიზაციის, როგორც სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშნის, შესახებ ამბობდა:

„კაპიტალისტურ წყობილებას შეეძლო გაეგზავნა ადამიანები საკატორღო სამუშაოზე. კაპიტალისტური სახელმწიფოს დროს ადამიანები მიდიოდნენ იქ სამუშაოდ შიმშილის გამო, ხოლო სოციალისტური სახელმწიფოს დროს ჩვენ ამ საკატორღო სამუშაოზე გაგზავნა არ შეგვიძლია, თავისი ნებით კი არავინ წავა....

საჭიროა ყველგან უფრო მეტი რაოდენობით შემოვიღოთ მანქანები, გადავიდეთ სამანქანო ტექნიკის რაც შეიძლება ფართოდ გამოყენებაზე". [13])

ორი სტალინური ხუთწლედის განხორციელების შედეგად ჩვენი ხალხი შეიარაღებულია საუცხოო ტექნიკით.

„ჩვენი ქარხნები, ჩვენი შახტები, ჩვენი ფაბრიკები, — ამბობდა ამხ. ორჯონიკიძე, — შეიარაღებული არიან ისეთი საუცხოო თანამედროვე ტექნიკით, როგორიც არა აქვს არცერთ ქვეყანას...

ჩვენ ვყიდულობდით ამერიკელებისაგან, გერმანელებისაგან, ფრანგებისაგან, ინგლისელებისაგან ყველაზე გაუმჯობესებულ მანქანებს, მსოფლიო ტექნიკის ყველაზე უკანასკნელ მიღწევებს და ამით ვაიარაღებდით ჩვენს საწარმოებს. მათ კი ბევრი ქარხანა და შახტი შეიარაღებული აქვთ XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის მანქანებით". [14])

ამხ. ორჯონიკიძე ლაპარაკობდა უმთავრესად პირველი ხუთწლედის შესახებ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში საიმპორტო მოწყობილობა უდიდეს როლს ასრულებდა. ახლა ჩვენ შევქმენით ჩვენი საკუთარი მანქანათმშენებლობა, რომელსაც შესწევს უნარი დაამზადოს ყოველგვარი მანქანა და ყოველგვარი რაოდენობით, რომელიც საჭიროა სახალხო მეურნეობისა და თავდაცვის საჭიროებათათვის. გავამრავლოთ ეს საუცხოო ტექნიკა მეურნეობის ჩვენი სოციალისტური სისტემის უპირატესობაზე, სოციალისტურ შრომაზე, მუშაობის სტახანოვურ მეთოდებზე—და ჩვენ სასწაულებს მოვიღებთ.

ამხანაგი სტალინი წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე 1935 წელს ამბობდა: ჩვენ რომ საკმაო რაოდენობით გვყოლოდა კადრები, რომლებსაც შესწევთ უნარი დაეუფლონ ჩვენს საუცხოო ტექნიკას, „ჩვენი ქვეყანა მიიღებდა სამჯერ და ოთხჯერ მეტ ეფექტს, ვიდრე მას აქვს ამჟამად".

ამხანაგ სტალინის ამ გენიალურმა წინასწარმეტყველებამ თავისი უდიდესი პრაქტიკული დადასტურება ჰპოვა სტახანოვურ მოძრაობაში. სტახანოვური მოძრაობა „წარმოადგენს შრომის იმ მაღალი ნაყოფიერების ნიმუშს, რის მოცემაც შეუძლიან მხოლოდ სოციალიზმს და რის მოცემაც არ შეუძლიან კაპიტალიზმს" **(სტალინი).**

ამჟამად ჩვენ ყველა პირობები გვაქვს იმისათვის, რომ ახლო მომავალში დავეწიოთ და საბოლოოდ გავუსწროთ ტექნიკურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს შრომის ნაყოფიერების დონის მხრივ —ორი სისტემის შეჯიბრებაში ამ მთავარი, გადამწყვეტი კრიტერიუმის დონის მხრივ.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ამჟამად ჩვენი მუშაობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია. ახლა „ჩვენში სოციალისტურად მუშაობს მხოლოდ ის ქარხანა, რომელიც იძლევა **კარგ პროდუქციას** არა ნაკლებ, არამედ **მეტი რაოდენობით,** ვიდრე ასეთივე ქარხანა სსრ კავშირის ფარგლებს იქით. [15]) მთავარია ახალი სოციალისტური კულტურის ფართო აღმავლობა. „...თვითეული ნაბიჯი ნამდვილი სოციალისტური კულტურის გზაზე არა მარტო იძლევა თავის დაუყოვნებელ შედეგებს, არამედ ჰქმნის წინაპირობებს სოციალიზმის გადაზრდისათვის კომუნიზმში" **(მოლოტოვი).**

„ბოლშევიკი" № 20.

**(გაგრძელება იქნება)**

---

[8]) ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XXI, გვ. 436.

[9]) იქვე. გვ. 439.

[10]) კ. მარქსი „კაპიტალი". ტ. I, გვ. 398. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1937.

[11]) ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXV გვ. 195.

[12]) ა. ი. მიქოიანი „საბჭოთა კავშირის კვებითი ინდუსტრია", გვ. 173. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1936.

[13]) ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XXVI გვ. 42.

[14]) ს. ორჯონიკიძე. საანგარიშო მოხსენება სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობას, გვ. 17. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა, 1935.

[15]) ვ. მ. მოლოტოვი „ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის", გვ. 32. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1937.

# საფრანგეთის მუშები ენერგიულად იბრძვიან მთავრობის რეაქციული ნაბიჯების წინააღმდეგ

**პარიზი**, 30 ნოემბერი (საკდესი). მიუხედავად მთავრობის მუქარისა და მის მიერ მიღებულ ღონისძიებათა, რათა ჩაეხშო საფრანგეთის მშრომელთა მოძრაობა საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ, დღეისათვის დანიშნული საყოველთაო გაფიცვა წარმატებით დაიწყო საფრანგეთის სამრეწველო ცენტრებსა და მუშათა რაიონებში. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია ცნობები საყოველთაო გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ. [illegible] ცალკეული ცნობების მიხედვით. რომლებიც პარიზის გაზეთების რედაქციებსა და საფრანგეთის დეპეშათა სააგენტოებს მოსდით მათი კორესპონდენტებისაგან, დღეს შუადღისას მდგომარეობა ასეთია:

პარიზის რაიონში გაფიცულია კერძო საწარმოთა ყველა მუშის დაახლოებით 90 პროცენტი. გაფიცული არიან ყველა სამთამადნო მუშები ჩრდილო დეპარტამენტში.

მარსელიდან იუწყებიან, რომ მიუხედავად მთავრობის მიერ გამოცხადებული მილიტარიზაციისა, იქ არ მუშაობენ ტრამვაელები.

გაფიცვა ყველგან მიმდინარეობს გაფიცულთა სიმშვიდისა და დისციპლინის ვითარებაში. შუადღემდე რაიმე სერიოზული ინციდენტი არ ყოფილა. ამის მიუხედავად პოლიციამ შუადღისას დაახლოებით 200 მუშა დააპატიმრა. დაპატიმრების მოტივად მოჰყავთ „ცდა ხელი შეეშალათ მუშაობაში სხვებისათვის".

გაფიცვამ სახე შეუცვალა პარიზის მუშათა კვარტალებს. პარიზის გარეუბნებში — ისი ლე-მულინოში, ბულონ-ბიანკურაში, სიურენში, პიუტოსა და თვით დედაქალაქის მუშათა უბნებში ქუჩები გაფიცულ მუშათა მრავალრიცხოვან ჯგუფებს უკავია. გაფიცული მუშებისადმი სოლიდარობის ნიშნად დახურულია მრავალი წვრილი მეწარმისა და ვაჭრის მაღაზიები და დუქნები. დახურულია სასაუზმოები, რესტორანები და კაფეები. ქუჩებში ბევრი პოლიციელი და ჟანდარმი იმყოფება.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად (საერთო-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ყველა სახის დაწესებულებათა და საწარმოთა მილიტარიზაცია) მთავრობამ მიაღწია იმას, რომ მილიტარიზებული საწარმოები პარიზში მუშაობენ. კერძოდ, მოქმედებენ ქალაქის ტრანსპორტი და რკინიგზა. მუშაობს აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფი. პარიზის გაზეთების უმეტესობა არ გამოსულა. ხუთი რეაქციული და ფაშისტური გაზეთი გამოვიდა ძალზე შემოკლებული და განსაზღვრული ტირაჟით.

# შეტაკებანი გაფიცულებსა და პოლიციას შორის

**ლონდონი**, 30 ნოემბერი (საკდესი). ლონდონის გაზეთების ყველა პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პარიზის გარშემო და თვით ქალაქში დიდძალი ჯარია თავმოყრილი.

ლილიდან იუწყებიან, რომ ყველა რკინიგზის სადგური და საზოგადოებრივი შენობები დაკავებულია ჯარის მიერ. სამთამადნო მუშები, მეტალურგები, მელითონეები, ფეიქრები და სხვა პროფესიათა მუშები მთლიანად გაიფიცნენ.

ლილში გაფიცულია აგრეთვე ყველა მუნიციპალური მოსამსახურე, მეხანძრეებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების გამოკლებით.

რამდენიმე ასეულმა გაფიცულმა გააჩერა სამი ტრამვაი და აიძულა კონდუქტორები და მგზავრები გადმოსულიყვნენ. მთელი რაიონი გარშემორტყმული იყო პოლიციითა და ჯარით. პოლიცია ცდილობდა გაფიცულთა დაპატიმრებას. ამის შედეგად მოხდა მუშების შეტაკება პოლიციასთან. რამდენიმე პოლიციელი დაჭრილ იქნა. დაპატიმრებულია მრავალი მუშა.

ტულუზშიც მოხდა სერიოზული შეტაკებანი გაფიცულებსა და პოლიციას შორის.

მარსელი, ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, დღეს დილით შეიარაღებულ ბანაკსა ჰგავს. ვაგზლებს, საზოგადოებრივ შენობებს, ხიდებსა და სხვ. იცავენ არა მარტო ფრანგი, არამედ კოლონიური ჯარებიც. სადგურებიდან მხოლოდ ცალკეული მატარებლები გადის. ადგილობრივი ტრანსპორტი მთლიანად შეჩერებულია. ტრამვაელები და ავტობუსელები გამოცხადდნენ დეპოში და უარი სთქვეს მუშაობაზე.

ვალანსიენში ჯარმა დაიკავა დიდი მეტალურგიული ქარხანა და ადგილობრივი ელექტროსადგური.

# საყოველთაო გაფიცვის მსვლელობა

**პარიზი**, 30 ნოემბერი (საკდესი). 15 საათისათვის გაფიცვის მდგომარეობა საფრანგეთში შემდეგნაირად ხასიათდება.

გაფიცვა მოედო მელითონეებს, დოკერებს, მეზღვაურებს, მშენებლებს, სამთამადნო მუშებს, ხის დამმუშავებელ მუშებს, მეტყავეებს, ფეხსაცმლის მკერავებს, ქიმიის მრეწველობის მუშებს, საიუველირო მრეწველობის მუშებს, ფეიქრებს და სხვ. მთლიანად გაფიცულნი არიან ქალაქ მარსელის მუშები, სადაც გაფიცვას საყოველთაო ხასიათი აქვს. როგორც სჩანს გაფიცვას საყოველთაო ხასიათი აქვს აგრეთვე ჩრდილოეთის დეპარტამენტში და კლერმონ ფერანშიც. გაფიცულნი არიან დიუნკერკისა და ბორდოს ნავსადგურის მუშები და ნანტის მუშები.

საერთოდ, მუშათა ორგანიზაციების ცნობების თანახმად, კერძო არარეკვიზირებულ მრეწველობაში გაფიცვაში მონაწილეობს საფრანგეთის სამთამადნო მუშების 100 პროცენტი, მელითონეთა 80 პროცენტი, საფეიქრო და ქიმიური მრეწველობის მუშათა 60 პროცენტი და სხვ. იუსტიციის სამინისტროს ბრძანებით სენის დეპარტამენტის საგამომძიებლო ხელისუფლებამ განკარგულება გასცა დაიწყოს გამოძიება რკინიგზელთა ნაციონალური კონფედერაციის მდივნების ჟარილიონისა და სემარის წინააღმდეგ, რომლებიც ერთდროულად ამ პროფკავშირის საოლქო ორგანიზაციების მდივნებიც არიან.

პარიზის მუშურ წრეებში უდიდეს აღშფოთებას იწვევს მთავრობის მიერ მიღებული სამხედრო ხასიათის ღონისძიებანი — სამხედრო პატრულების გამოყენება მეტროს სადგურებზე, საწარმოებში და სხვ.

რეაქციულ და ფაშისტურ წრეებში მთავრობის მეთაურის მოქმედებას სრული თანაგრძნობითა და მოწონებით შეხვდნენ.

**ლონდონი**, 30 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, შინაგან საქმეთა მინისტრმა სარომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ პრეფექტურიდან მიღებული ცნობების თანახმად, პარიზის ოლქში დღეს დილით დაპატიმრებულია 495 კაცი, მათ შორის 80 დაპატიმრებულია მუშაობის ჩაშლის ცდისათვის.

**ლონდონი**, 30 ნოემბერი (საკდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, რომ ვალანსიენში, სადაც გაფიცულია 30.000 მაღაროელი, დაპატიმრებულია საგუშაგოზე მდგარი მრავალი მუშა და რომ საპოლიციო ტრიბუნალი განუწყვეტლივ მუშაობს.

იუწყებიან, რომ პოლიციასთან შეტაკების დროს ლილში დაჭრილია 10 და დაპატიმრებულია 50 კაცი.

# შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის განცხადება

**პარიზი**, 30 ნოემბერი (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟუომ დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე უცხოელ ჟურნალისტებს განუცხადა შემდეგი:

„დღეს ორი საათის განმავლობაში პარიზის ქალაქის ტრანსპორტი სრულებით შეჩერებული იყო, მაგრამ მისი რეკვიზიციისა და მთავრობის მხრივ სამხედრო ღონისძიებათა მიღების შედეგად ჩვენ ვიმყოფებით მუშაობის განახლების ფაქტის წინაშე. ამ ფაქტს ჩვენ არ უარვყოფთ. ნაციონალიზებულ ფაბრიკებში (არასამხედრო) მუშებმა შეასრულეს ბრძანება სამუშაოდ გამოსვლის შესახებ, მაგრამ მუშაობას არ შესდგომიან. რაც შეეხება კერძო საწარმოებს, ჩვენ ვიცით, რომ ქვანახშირის მრეწველობაში ყველა მუშა გაფიცულია. მაღაროებში იმყოფება არაუმეტეს 20 პროცენტი პერსონალისა, რომელიც ტექნიკურ ზედამხედველობას ანხორციელებს. დიდ ნავსადგურებში დოკერები და მეზღვაურები მთლიანად გაფიცული არიან. ასეთივე მდგომარეობაა ქიმიურ, საამშენებლო და მეტალურგიულ მრეწველობაში". ჟუომ აღნიშნა, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაცია დაჟინებით მოითხოვს, რათა მტკიცედ იქნას დაცული ტექნიკური ზედამხედველობა მრეწველობის ყველა დარგში.

# ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ნაკრებ ცნობაში ნათქვამია, რომ 29 ნოემბერს არცერთ ფრონტზე არავითარი მნიშვნელოვანი ოპერაცია არ მომხდარა.

28 ნოემბერს ღამით და 29 ნოემბერს დილით იტალიელთა ჰიდროთვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაუშინეს ყუმბარები ბარსელონის ნავსადგურის რაიონს. ისპანის სააგენტო იუწყება, რომ ფაშისტთა ოთხი თვითმფრინავი ცდილობდა ვალენსიის ბომბარდირებას. ერთ-ერთმა თვითმფრინავმა მოახერხა გადაელახა რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარიების ღობურა ცეცხლი და ნავსადგურის რაიონში ჩამოაგდო მთელი ყუმბარები, რაც თან ჰქონდა. მაგრამ ყუმბარებს არავითარი მატერიალური ზიანი არ გამოუწვევიათ; არ არის აგრეთვე არც ადამიანთა მსხვერპლი.

ინგლისის სავაჭრო გემს თავს დაესხა მეამბოხეთა თვითმფრინავი საგუნტოს წყლებში. ფაშისტთა თვითმფრინავი დაედევნა ინგლისის გემს და რამდენიმე ყუმბარა დააყარა მას.

## მაღალსამთო ლაშქრობა

# მოლაშქრენი თბილისში

30 ნოემბერს, მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილენი მცხეთაში ისვენებდნენ.

გუშინ, დილის 9 საათსა და 40 წუთზე, ლაშქრობის მონაწილენი დაიძრნენ თბილისისაკენ. საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე რაზმს შეხვდნენ მოტოციკლისტთა და ველოსიპედისტთა კოლონები. ქალაქთან მოახლოვებისას მოეწყო უკანასკნელი დასვენება.

მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილენი ასინის ხეობაში ბალაი-ხოხის გამოქვაბულთან.
ფოტო ა. კობიაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

საბჭოთა კავშირის გმირთა სახელობის მოედანზე რაზმის შესახვედრად თავი მოეყარათ თბილისის მშრომელებს, გარნიზონის ნაწილებს, ფიზკულტურელებს, უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეებს.

მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილეებს თბილისის მშრომელები ყვავილებითა და მისალმებათა შეძახილებით შეეგებნენ:

— გაუმარჯოს მშობლიურ დიდ სტალინს!

—გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას! გაისმოდა ძახილი ხალხით გაჭედილი მოედნის ყოველი კუთხიდან.

შუა მოედანზე აღმართული იყო სახელდახელო ტრიბუნა, რომელზედაც ავიდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ხ მილშტეინი**, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობათა ამსრულებელი ამხ. **ი. კოჭლამაზაშვილი**, ა.-კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწე ამხ. **ზუსმანოვიჩი**, მოლაშქრე რაზმის უფროსი კაპიტანი **დიაკონოვი**, იმავე რაზმის კომისარი **ჩელოხსაევი** და სხვ.

მიტინგი, მიძღვნილი მაღალსამთო ლაშქრობის წარმატებით დამთავრებისადმი, გახსნა ამხ. **ი. კოჭლამაზაშვილმა**, რომელიც ლაშქრობის მონაწილეებს მიესალმა თბილისის მშრომელთა სახელით. თბილისის კომკავშირული და უპარტიო ახალგაზრდობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ზუბიაშვილმა** და თბილისის სამხედრო სასწავლებლის კურსანტების სახელით კურსანტმა ამხ. **ეგოროვმა**. მოლაშქრე რაზმის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდა რაზმის კომისარი ამხ. **ჩელოხსაევი**.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ლაშქრობის მონაწილენი წავიდნენ დასასვენებლად.

○

მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილენი თბილისში დარჩებიან 2 დღეს. ამ ხნის განმავლობაში ისინი გაეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მუზეუმებს, დაათვალიერებენ იმ ადგილებს, სადაც მოღვაწეობდა ამხანაგი **სტალინი**, ხოლო 4 დეკემბერს გაემგზავრებიან უკან, ჩრდილო-კავკასიისაკენ.

# გრძნეული წყარო

ძველ ხარფუხელებს ახსოვთ, რომ წინათ, ჩამორჩენილობისა და უკულტურობის დროს, ხარფუხელი ექიმბაშები მათთან მისულ ყველა კლიენტს „მკურნალობდნენ" რაღაც „გრძნეული" წყლით. მაშინდელი ექიმების განსაცვიფრებლად ექიმბაშები ხშირად ძალიან კარგ ეფექტს ღებულობდნენ. ეს „გრძნეული" წყალი თბილისის ბუნებრივი გოგირდოვანი წყაროს წყალი იყო.

მაგრამ ეს იყო უწინ, როცა არავინ იცნობდა თბილისის ბუნებრივად ცხელი გოგირდოვანი წყაროების სამკურნალო თვისებებს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენა თბილისის გოგირდოვანი წყლები. დაიწყეს თბილისში ბალნეოლოგიური კურორტის აშენება, დაიწყეს თბილისის გოგირდოვანი წყლების თვისებათა შესწავლა.

1937 წლის ნოემბრიდან ბალნეოლოგიური კურორტის პირველი ობიექტი—საბაზანო შენობა გახსნეს და დაიწყეს სხვადასხვა სენით შეპყრობილთა მკურნალობა. უკვე ერთი წელიწადი სრულდება, რაც აქ ბუნებრივი ცხელი გოგირდოვანი წყაროებით მკურნალობენ 11 სხვადასხვა სენით შეპყრობილებს. შედეგები განსაცვიფრებელია:

1936 წელს მამედ ილზას-ძე გაჯიევს, ყოფ. მტვირთავს გზად ხიფათი შეემთხვა. ტრამვაიზე ასვლისას იგი გადმოვარდა ვაგონის საფეხურიდან და დაშავდა. შედეგად გაჯიევმა დაჰკარგა ცალი ფეხის თითები და მიიღო ქვედა კიდურების დამბლა, 55 წლის კაცი დაკუტდა. ყველა კლინიკა შემოიარა მან, ყველგან მკურნალობდა, წყალტუბოშიც იყო, სხვაგანაც, მაგრამ არაფერმა უშველა. გაჯიევი ხშირად უნახავთ თბილისელებს. იგი ტყავის ბალიშზე ფეხმოკეცილი ქუჩაში მკლავებზე დაყრდნობით მიაცოცებდა ტანს. გაჯიევი ახლა სავსებით ჯანსაღია, თავისუფლად დადის, ჯოხსაც არ ხმარობს და არაფერს არ იტკივებს.

კუტი და დადამბლავებული გაჯიევი განკურნა თბილისის გოგირდოვანმა წყალმა. 5 აბაზანის მიღების შემდეგ გაჯიევი ძალიან ცუდად გახდა, შემდეგი აბაზანების მიღების შედეგად გაუმჯობესება იგრძნო. მეთორმეტე აბაზანის მისაღებად იგი უკვე გამართული მოვიდა ყავარჯნით ხელში, ხოლო მეოცე აბაზანის შემდეგ სავსებით გაჯანსაღდა.

დიასახლის ქალს ლიზა ფ-ძეს მშრალი ეკზემა ჰქონდა. ეს სენი დღემდე უკურნებელად ითვლებოდა. შეიძლება მხოლოდ დროებით განკურნება, რამდენიმე კვირით, შემდეგ კი სენი ხელახლა იჩენს თავს. საშინელი სენი სტანჯავდა ქალს და ბოლოს ისე შეიპყრო იგი, რომ პირის ღრუშიც კი გადაუვიდა. კანის ქავილი ისე ძლიერად ჰქონდა, რომ ავადმყოფი მაგარ ჩოთქს ხმარობდა. ყველა კურორტები შემოიარა ეკზემით შეპყრობილმა, კლინიკებშიაც იმკურნალა. ბოლოს მოვიდა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის საბაზანო შენობაში. 12 აბაზანის მიღების შემდეგ ქალი სავსებით განიკურნა. უკვე ერთი წელიწადი სრულდება, რაც მას კანის ქავილის და სალსრების ავადმყოფობის არავითარი რეციდივი არ გამოსჩენია.

შარშან მოქ. თედორე ყიფშიძეს ავტომ გაჰკრა ფრთა, წააქცია და ფეხი მოსტეხა. 55 დღე ჰქონდა მას ფეხი თაბაშირში. ბოლოს მოქ. ყიფშიძეს ტკივილი დაუწყო მუხლებმა, სალსრები დაუსივდა და სისხლის წნევამ მოუმატა. წავიდა კისლოვოდსკში, იწვა საავადმყოფოებში, მაგრამ საშველი არ დაადგა. იგი განკურნა თბილისის გოგირდოვანმა წყალმა.

ქალს მოქ. მ. გ-ს შვილი არ ჰყავდა. 12 წლის განმავლობაში იგი უშედეგოდ მკურნალობდა. ბალნეოლოგიურ კურორტზე 20 აბაზანის მიღების შემდეგ იგი გაჯანსაღდა და ამჟამად ორსულადაა.

მოქ. ნელინა ვილდინსკაიას ჰქონდა სისხლის გაძლიერებული წნევა, გულის და სისხლის მილების დაავადება. არც ბორჯომმა, არც მაცესტამ, კისლოვოდსკმა და სხვა კურორტებმა მას შველა არ მისცეს. ვილდინსკაია განკურნა თბილისის გოგირდოვანმა წყალმა.

ასეთია თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე ავადმყოფთა მკურნალობის პირველი შედეგები. თბილისის გოგირდოვანი წყალი რადიკალურად ჰკურნავს — კანის დაავადებას, რევმატიზმს, იშიასს, გულის და სისხლის მილების დაავადებას, თითქმის ყველა სახის ქალურ სნეულებას და სხვ.

მაგრამ ამ წყლით მკურნალობა კარგ ეფექტს იძლევა მაშინ, თუ მას გამოიყენებენ სათანადოდ, ისე, როგორც ექიმი ურჩევს ამა თუ იმ ავადმყოფს.

ასობით ავადმყოფები მკურნალობენ ახლა თბილისის ცხელი გოგირდოვანი წყლით.



თბილისი. ბალნეოლოგიური ინსტიტუტის შენობის ზემო გალერეა.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).



გზა ციხე გუნიბისაკენ (დაღესტნის ასსრ), სადაც 80 წლის წინათ ტყვედ ჩავარდა შამილი.
„სოიუზფოტო".

# ლენინგრადის კაპელის გამოსათხოვარი კონცერტი

30 ნოემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში ერევანს გამგზავრების წინ გაიმართა ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიური საგუნდო კაპელის უკანასკნელი კონცერტი.

კაპელამ თავის სამხატვრო ხელმძღვანელის, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის ა. ვ. სვეშნიკოვის ხელმძღვანელობით დიდი ოსტატობით შეასრულა თავისი ვრცელი რეპერტუარის 15 ნომერი.

კაპელამ საუცხოოდ შეასრულა პოპულარული ქართული სიმღერა „სულიკო" რუსული ტექსტით. ამ სიმღერის შესრულების შემდეგ ესტრადაზე ავიდა თავის დროზე ცნობილი მომღერალი ბარბალე (ვარინკა) სპირიდონის-ასული წერეთელი, რომელმაც 1895 წელს აკაკი წერეთლის სიტყვებზე შეჰქმნა ამ სიმღერის მელოდია. ბ. ს. წერეთელი მიესალმა კაპელის მონაწილეთ და ა. ვ. სვეშნიკოვს, მადლობა გადაუხადა მათ სიმღერის შესრულებისათვის.

კონცერტის შუა ნაწილში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსანი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით არსებული აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის სახელით კაპელას მიესალმა ორდენოსანი ამხ. ვარდიაშვილი და მიუძღვნა ვერცხლით მოჭედილი ყანწი.

ა. ვ. სვეშნიკოვმა უპასუხა მისალმებებზე, მადლობა გადაუხადა გუნდსა და ყველა მსმენელს და განაცხადა, რომ საქართველოში ჩამოსვლა მუდამ სახსოვარი იქნება კაპელის მონაწილეებისათვის.

მეჩონგურეთა სახელმწიფო ანსამბლის სახელით, რომელსაც ალექსანდრა ფოცხვერაშვილი ხელმძღვანელობს, კაპელას მიესალმა საქართველოს სახალხო არტისტი, ორდენოსანი კ. გ. ფოცხვერაშვილი. მან ა. ვ. სვეშნიკოვს მიართვა საუცხოო ყვავილებიანი კალათი.

კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა, დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით.

კაპელის მონაწილენი ერევნიდან დაბრუნდებიან 4 დეკემბერს. იმავე დღეს ვაგზლის ბორჯომის პავილიონში კაპელა გამართავს კონცერტს თბილისის კვანძის რკინიგზელებისათვის. ეს კონცერტი მიეძღვნება სტალინური კონსტიტუციის დღეს.

5 და 6 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ორი კონცერტი, რომლებიც აგრეთვე საერთო სახალხო დღესასწაულის—სტალინური კონსტიტუციის დღისადმი იქნება მიძღვნილი. (საქდესი).

# გამოფენა ებრაელთა დევნაზე ფაშისტურ ქვეყნებში

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ებრაელთა სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი შეუდგა ინტერნაციონალური ხასიათის გამოფენის მოწყობას თემაზე: „მშრომელ ებრაელთა მდგომარეობა ფაშისტურ ქვეყნებში".

ხსენებულ გამოფენაზე ნაჩვენები იქნება ფაშიზმის ქვეყნებში გამეფებული ანტისემიტიზმი, მშრომელ ებრაელთა რბევა და მათი განდევნა ფაშისტურ სახელმწიფოთა საზღვრებიდან. აქვე ფოტო-ილუსტრაციებით ნაჩვენები იქნება ის საერთო ზიზღი და აღშფოთება, რომელსაც ფართო მასებში იწვევს ფაშიზმის ეს ველური პოლიტიკა.

გამოფენის მოწყობის საქმეს ხელმძღვანელობენ მუზეუმის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები.

○

ებრაელთა სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი ამთავრებს და ამ დღეებში გახსნის ანტირელიგიური შინაარსის გამოფენას, სადაც მაკეტების, ფოტო-სურათების და ექსპლიკაციების საშუალებით ასახული იქნება ებრაელთა რელიგიის რეაქციული და კონტრრევოლუციური ბუნება.

## ხელოვნება

### ოპერის თეატრში

8 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მიდის ჯ. ვერდის ოპერა „რიგოლეტო", რომელშიაც რიგოლეტოს როლს პირველად შეასრულებს მომღერალი არჩილ ბუთხუზი.

8 დეკემბრიდან იწყება მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის სოლისტის დავით ბადრიძის გასტროლები. დ. ბადრიძე გამოვა: 8 დეკემბერს — „რიგოლეტოში", 11 დეკემბერს — „სევილიელ დალაქში", 16 დეკემბერს — ისევ „რიგოლეტოში" და 18 დეკემბერს — „დაისში".

მიმდინარე სეზონის პირველი ახალი დადგმა იქნება ოპერა „აიდა". ამ სპექტაკლით თეატრი აღნიშნავს გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის დაბადების 125 წლისთავს და „აიდას" პირველი დადგმის 67 წლისთავს, რომელიც მიმდინარე წლის 24 დეკემბერს სრულდება („აიდა" პირველად დაიდგა კაიროში 1871 წლის 24 დეკემბერს).

„აიდას" სდგამს რესპ. სახ. არტ. ალ. წუწუნავა, მხატვარი კარსლიანი, დირიჟორი შ. აზმაიფარაშვილი.

პრემიერა დანიშნულია 26 დეკემბრისათვის.

### დისერტაციის დაცვა

3 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ამხ. ა. ნ. ინწკირველი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საბალანსო მეთოდი ბუხჰალტერიაში".

### დღეს კინოებში

**ოქტომბერში** — „დიადი განთიადი".

**დამკვრელში** — „დიდი მოქალაქე".

**კომკავშირელში** — „მიტკა ლელუკი".

**რ. ლუქსემბურგში** — „დიადი განთიადი".

**სპარტაკში** — „მიტკა ლელუკი".

**26 კომუნარების სახ.** — „მეგობრები".

პირველი სეანსის დასაწყისი „ოქტომბერში"—საღ. 6 საათზე, სხვა კინო - თეატრებში — 6 საათსა და 30 წუთზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

| 2/XII | 3/XII | 4/XII |
|---|---|---|
| მუდმ. ადგ. ტალ. № 38<br>ევგენი ონეგინი | მუდმ. ადგ. ტალ. № 39<br>რიგოლეტო | მუდმ. ადგ. ტალ. № 34<br>აბ. № 5<br>ესმერალდა |

დასაწყისი 8 საათზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

| | |
|---|---|
| 2/XII | წარმოდგენა 61<br>ფოლადაური |
| 3/XII | წარმოდგენა 62<br>უდანაშაულოდ დამნაშავენი |
| 4/XII | წარმოდგენა 63<br>ოტელო |

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

| | |
|---|---|
| 2/XII | კოლმეურნის ქორწინება |
| 3/XII | კოლმეურნის ქორწინება |
| 4/XII | ურიელ აკოსტა |

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

**აცხადებს**, რომ 1938 წლის 18 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) დანიშნულია საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც შესდგება საჯარო პაექრობა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაციას დაიცავენ:

1. ექ. პ. ფ. დოლიძე თემაზე: „ინფიცირებულ ჭრილობების მკურნალობა ულტრაიისფერი სხივებით". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულია პროფ. ა. მაჭავარიანი და პროფ. ზანდუკელი.
2. ასისტ. შ. ხ. კინწურაშვილი თემაზე: „ასკორბინის მჟავა (ვიტამინი C) ადგილობრივ ჯიშის ლიმონში განვითარების სხვადასხვა სტადიებში". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულია პროფ. ვარაზი, პროფ. გ. ვაწაძე და გ. ნათაძე.

51

სახცირკი — ტელ. 3-11-44
დღეს
საცირკო სანახაობა
ახალი პროგრამა
ჟოკეი—მხედართა ხერუების ჯგუფი. სნაიპერები მილტონსები, კაუჩუკი ოკლეი, ჯამბაზი—ექსცენტრ. მელჩენკო. პოლდი და მთელი რიგი სხვა ნომრები.
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეა.
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20. ბინა 38, მე-4 შესავალი, მე-2 სართული.
5—4 21562

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" სახის, კისრის, ხელების მასაჟი და თმის მკურნალობა ელექტროორთქლის აბაზანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავად, ძნელაძის ქ. № 19. იღებს დილის 10-დან 3 საათამდე და საღ. 5—8-მდე.
4—2 22134

## საქვაჭროგის დასკვნითი ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი (ათას მანეთებში) პასივი

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | ჯამი | №№ რიგ. | მუხლების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქონლის მარაგი | 28725 | 1 | ფონდები | 11175 |
| 2 | საქონელი გადაგზავნილი | 120 | 2 | რეზერვები და რეგულატივები | 556 |
| 3 | ფულადი საშუალებანი | 3299 | 3 | დანარიცხი საქონლის ხაშთზე | 2196 |
| 4 | საშუალებანი ანგარიშსწორებ. | 6441 | 4 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 9394 |
| 5 | მომავალი დროის ხარჯები | 36 | 5 | ფინანსირება ბიუჯეტიდან | 4415 |
| 6 | განყენებული საშუალებანი | 365 | 6 | სხვადასხვა სესხები | 2418 |
| 7 | ძირითადი საშუალებანი | 4531 | 7 | მოკლევადიანი სესხები | 22363 |
| 8 | დამთავრებული კაპიტალური შეკეთებანი | 393 | | | |
| 9 | მასალების, ნედლეულის და სათბობის მარაგი | 4176 | | | |
| 10 | დაუმთავრებელი წარმოება - გადამუშავება | 109 | | | |
| 11 | საბალანსთაშორისო ანგარიშსწ. | 550 | | | |
| 12 | მიმდინარე წლის დანაკარგი | 3771 | | | |
| | ბალანსი | 52517 | | ბალანსი | 52517 |

## დაგროვება-დანაკარგების ანგარიში 1937 წელში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მიმოქცევის ხარჯები | 23918 | 1. | დაგროვება საქონლის რეალიზაციით და გაცვლით | 24865 |
| 2. | სხვადასხვა დანაკარგები | 11507 | 2. | სხვა დანარჩენი დაგროვება | 7220 |
| 3. | ანარიცხ. დირექციის ფონდში | 431 | 3. | მიმდინარე წლის ზარალი | 3771 |
| | ბალანსი | 35856 | | ბალანსი | 35856 |

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია სსსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1938 წლის 1 აპრილს, ოქმი № 8.

დირექტორი **ვ. ლ. ხუნწარია.** მთავარი ბუხჰალტერი **ვ. ვ. კვალიაშვილი.** 1788

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ე—226